პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე.

კომუნისტი

[illegible] ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველი პრ. № 26,
ტელეფონი 5 - 43.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 219 სამშაბათი, 25 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300.000 მან. № 219

დღიური

— გერმანიის კომპარტიამ გერმანიის პროლეტარიატს გამოუშვა მიმართვა, რომელშიაც აღნიშნავს უკანასკნელი ამბების მნიშვნელობას. მიმართვა მოუწოდებს მუშათა [illegible] ბისაკენ და მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნისაკენ.

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა 500 გირვანქა სტერლინგი გადასდო გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა შვილების დასახმარებლად.

ბულგარეთში გრძელდება სისხლის მღვრელი შეტაკებანი აჯანყებულთა და მთავრობის ჯართა შორის.

იაპონიას შეუძლია 8 წელიწადში აღადგინოს ზარალი.

საქართ. პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ **კანტორისაგან** ყოფილი გაზრესტი,
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა	ქალაქში შინ მიტანით	8.000.000
	ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	8.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის		6.000.000
ერთი ეგზემპლიარი		300.000

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა	2.000.000
ერთი ეგზემპლიარი	500.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—8

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, სექტემბრის 28-ს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიმუშაონ თვითონ უჯრედებმა და საუბნო კომიტეტებმა.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

საქონლის და საფონდო ბირჟების ამიერ-კავკასიის პირველი კონფერენცია

გაიხსნება ა. წ. 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის საქონლის საფონდო ბირჟის ბინაზე (სოლოლაკის ქუჩა № 7).

ვთხოვთ კონფერენციას დაესწრონ ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ—კოოპერატიულ ორგანიზაციების და აგრეთვე უცხოეთის სავაჭრო დაწესებულებათა და ფირმების წარმომადგენლები და ტფილისის საქონლისა და საფონდო ბირჟის წევრები.

628 2—2. ამიერ-კავკასიის ფინსახკომი.

წითელ ჯარს—წითელი კომანდირები

წითელი ჯარი, მისი რიგების შემჭიდროება, მისი საკომანდო შემადგენლობის გაუმჯობესება, გაძლიერება და განმტკიცება მისი—არის და მანამდი იქნება პირველ ხარისხოვანი საქმე, მოსაგვარებელი მუშათა სახელმწიფოსა და მისი ხელმძღვანელი პარტიის მიერ, სანამ მათ არსებობასა და ბრძოლის საერთაშორისო მასშტაბში გამარჯვებისათვის [illegible] დაც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, სანამ რევოლიუცია არ გაიმარჯვებს და კაპიტალისტური რეჟიმი საბოლოოთ არ დამარცხდება მთელს მსოფლიოში. ეს—ფართო რევოლიუციონური პერსპექტივების, პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების თვალსაზრისით, რომლითაც მხოლოთ შეიძლება ჩვენი დღევანდელი არსებობის გამართლება.

მაგრამ როგორათაც დიადი უნდა იყოს ჩვენი სამხედრო ძლიერების ეს მიზანი, რომელის ნიშან ქვეშ მიმდინარეობს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ყოველდღიური მუშაობა და რომლის აშუქებს ამ მუშაობას—ჩვენი მშრომელი მასებისათვის, სოფლის გლეხისა და ქალაქის მუშებისათვის, რომლებმაც დაიპყრეს მიწა, ქარხანა და თავისუფლება, უაღრესათ საჭიროა, რომ ისინი გულდამშვიდებული ეწევოდნენ ნორმალურ მუშაობას, დარწმუნებული იყვნენ თავიანთ კერის, სარჩო-საბადებლის, თავიანთ სახელმწიფოსა და ხელუხლებლობის უზრუნველყოფაში იმათ მხრივ, რომლებიც კბილებს ილესავენ გამარჯვებული მშრომელების წინააღმდეგ. ასეთებია დამარცხებული კლასების ნაძირალები შიგნი და ამ უკანასკნელების მოკავშირეები გარეთ.

ამნაირათ ჩვენი წითელი არმია ჩვენი გლეხების, ჩვენი მუშების, მთელი მშრომელი რესპუბლიკის და მისი მოკავშირე საბჭოთა სახელმწიფოების დარაჯია და დამცველი. ცხადია ამიტომ, რომ, თუ ჩვენ მშრომელ ხალხს სურს შეინარჩუნოს ის, რაც მან მოიპოვა ათეული წლების მძიმე ბრძოლის და უამრავი მსხვერპლის გაღების შემდეგ, თუ მას უნდა დარჩეს პატრონი თავის მიწა-წყლის, მისი სიმდიდრის და თავისუფლების—ის მუდამ უნდა ფიქრობდეს მის დამცველ წითელ ჯარზე, აქტიურათ ხელს უწყობდეს მის გაძლიერებას და განმტკიცებას. არც ერთი ნაბიჯი, ხელისუფლების მიერ გადადგმული ამ მიმართულებით, არ უნდა დარჩეს ჩვენი ხალხის ფხიზელი და აქტიური ყურადღების გარეშე, არც ერთი ასეთი ზომა მის დაუხმარებლათ. ასეთი ნაბიჯის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღესაც.

დღეიდან დაიწყება მთელს რესპუბლიკაში მოკრება ამ მუშა და გლეხ ახალგაზრდების, რომლებიც უნდა გაიგზავნონ ჩვენი წითელი ჯარის საკომანდო კურსებზე.

ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს წითელი ჯარის წყობაში მის ხელმძღვანელ კომანდირებს, რომლებიც გამოსული იქნებიან მშრომელთა საერთო ოჯახიდან. ჩვენი ჯარია მუშურ-გლეხური. [illegible] თა ინტერესებს, თავისი ფოლადის მკერდით უნდა დაიცვას მან მშრომელთა სახელმწიფო და რევოლიუცია. ვინ უნდა გაუძღვეს მას ბრძოლის დროს, ვინ უნდა ასწავლოს მას მშვიდობიანობის ხანაში თუ არა ისევ შეგნებულმა და სამხედრო ცოდნით აღჭურვილმა მუშამ და გლეხმა? რასაკვირველია, მხოლოდ მან და ისევ მან.

ეს ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ჯარის სწავლებისა და აღზრდის დროს არ გვისარგებლია და არ ვისარგებლებთ ჯერ კიდევ, ჩვენთვის უცხო, მაგრამ პატიოსან ელემენტებით, სპეციალური ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილ პირებით, რომლებიც იმუშავებენ ხელისუფლების ხელმძღვანელობის ქვეშ და ემორჩილებიან მას. მაგრამ ჩვენი იდეალი ამ შემთხვევაში არის სხვა: ჩვენ უნდა შევქმნათ ჯარის ხელმძღვანელი, მის უფროსთა კადრი მხოლოდ და მხოლოდ შეგნებულ მუშებისა და გლეხებისაგან. სანამ ეს არ მომხდარა—ჩვენ ვერ მოვისვენებთ სამხედრო მუშაობის ამ დარგში. ცხადია ყოველივე თქმულის შემდეგ, რამდენად საჭიროა საკომანდო კურსებისათვის მსმენელთა მოკრება და რატომ უნდა მიუდგეს ამ საქმეს, როგორც თავის საკუთარს, ყოველი მუშა და გლეხი ჩვენი რესპუბლიკის.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება—ნაწილობრივ უკანასკნელ ნომერშიც გამოვაქვეყნეთ—დებულებები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ადგილობრივ პარტ-საბჭოთა მუშაკებმა ამ კამპანიის ჩატარების დროს. პარტიის ცეკა წინადადებას იძლევა ცნობის მიღებისათანავე შედგენილ იქნეს ადგილობრივ სამაზრო კომიტეტებთან სპეციალური კომისიები, რომლებიც ჩაატარებენ პარტორგანიზაციების და ხელისუფლების ორგანოების აქტიურ დახმარებითა და ხელმძღვანელობით სათანადო კამპანიას. ამ კომისიების დაუყოვნებლივ შედგენა და კამპანიის გეგმის შემუშავება—აი ნაბიჯი, რომელიც უნდა შეიქნეს გამოსავალი წერტილი მთელი მუშაობის. კურსანტების მიღების პირობებში და იმ უფლებებში, რომელთაც ანიჭებს მთავრობა მათ და მათ ოჯახებს, ადგილობრივი მუშაკები იპოვიან პასუხს ყველა კითხვებზე, რომლებიც აღიძვრის ამ კამპანიის დროს. ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა დაინახავს იქ, თუ რა შეღავათით სარგებლობენ ისინი კურსებზე მიღების დროს, რა დაკმაყოფილებას მიიღებენ თვითონ და მათი ოჯახები სკოლაში ყოფნის განმავლობაში, რაც მიჩნეულია სამხედრო სამსახურათ.

ჩვენ წითელ ჯარს ესაჭიროება წითელი კომანდირები. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები მისცემენ მას ახალგაზრდებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ჩვენი რესპუბლიკის მეომართ, რევოლიუციის არმიას.

ჩვენი პრესის გარშემო

(დისკუსიისათვის)

II*)

კრიტიკა და მხილება

პირველ წერილში ვთქვით, რომ პრესამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით ჩვენი შინაური ცხოვრების მოწყობას, წარმატებითი აღმშენებლობითი მუშაობას, მეურნეობის აღორძინებას და გაჯანსაღებას.

ამ მიზანს პრესა ემსახურება არა მარტო, ასე ვსთქვათ, პოზიტიური ხასიათის წერილებით, არამედ აგრეთვე კრიტიკით იმ ღონისძიებათა და ნაბიჯების, რომელნიც რაიმე მოსაზრებათა გამო მიზანშეუწონელია, და მხილებით, გამოაშკარავებით იმ ბოროტმოქმედებათა, რომელნიც შეიძლება ჩადენილ იქნენ დაწესებულება-წარმოებათა ჯურღმულებში.

დოგმატიზმი და თვითკმაყოფილება, ხელების დაფარვა უმზგავსო და უკანონო მოქმედებაზე, ვინც არ უნდა სჩადიოდეს ასეთს,—არასოდეს არ ყოფილა ჩვენი პარტიის დამახასიათებელი. კრიტიკა და მხილება, მიმართული პირველ ყოვლისა საკუთარი თავის წინააღმდეგ, ყოველთვის წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც მომენტის მოთხოვნებთან შეფარდებულს ხდიდა ჩვენს პოლიტიკას და საქმიანობას და ხელს უწყობდა ჩვენი პარტიული რიგების და მთელი ცხოვრების გაჯანსაღებას.

როგორ ასრულებს ჩვენი პრესა მის ერთ უმთავრეს ამოცანას, ამოცანას ამა თუ იმ ორგანოს და პირის მიერ გადადგმულ შემცდარ ნაბიჯების კრიტიკისა და ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მხილებისა?

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე ეს საქმე კერძოდ გაზ. „კომუნისტში" არ იყო ფართოდ და რიგიანად დაყენებული.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის პროცესში შეცდომებს არ უშვებდით, ან აქა იქ და ხშირადაც ბოროტმოქმედებებს არ ჰქონდეთ ადგილი.

ეს გასაგებიცაა. ჩვენ უჩვეულო, ახალ საქმეებს ვაკეთებთ, მომზადება და გამოცდილება კი ნაკლებად გვაქვს მეორე მხრივ—ჩვენი წარმოება-დაწესებულებებში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი კომბინატორები და ბნელი პირები, რომელნიც მხოლოდ თავიანთ ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ.

ჩვენს გაზეთში ყველაფერი ეს ვერ ჰპოულობს საკმაო გამოხატულებას.

მართალია, გაზეთში არა იშვიათად თავსდებოდა მამხილებელი შენიშვნები და წერილები; მაგ., გავიხსენოთ თუ გინდ,—მრავალ წვრილ დეფექტების და ბოროტმოქმედებათა გამომჟღავნებას რო თავი დავანებოთ, რომელსაც ადგილი ჰქონდა „კომუნისტი"-ს ფურცლებზე,—ჩვენი გაზეთის კამპანია ღვინის ტრესტის გარშემო, კამპანია, რომელმაც საგრძნობი დადებითი შედეგები მოიტანა სახელმწიფოსათვის; აგრეთვე დიდი ყურადღების ღირსია ის კამპანია, რომელიც დღეს სწარმოებს ჩვენს გაზეთში მოქ. ივანოვის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს საკმაო არ არის. ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან, ცხოვრების დეფექტებთან და უკუღმართო მოვლენებთან ჩვენმა გაზეთმა უნდა აწარმოოს სისტემატიურად, შეუბრალებლად და უფრო ფართე მასშტაბით.

რა თქმა უნდა, ასეთ ბრძოლასთან სდევს ერთგვარი საფრთხე. ჩვენი კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი ხასიათის და ლოიალური, მისი მიზანია შეცდომების და დეფექტების გამოსწორება; ჩვენი მხილება მიზნად ისახავს ბოროტ-მოქმედებათა აღმოფხვრას, დამნაშავეთა განდევნას და დასჯას.

ეს საქმე ფრიად ძნელი და საპასუხისმგებლოა. აქ შეიძლება მიეცეს გასაქანი პირად ანგარიშებს და ჩვენი კრიტიკა-მხილება ცხოვრების გაჯანსაღების საშუალებიდან იქცეს კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას და შურისძიების იარაღად.

კერძოდ გაზ. „კომუნისტი" ამ მხრივ საჭირო სიფრთხილეს იჩენს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ის ვინმეს გამოეყენებიოს კერძო ანგარიშების გასასწორებლად.

არის სხვაგვარი საფრთხეც. შესაძლებელია, რომ მხილებით გატაცებამ საზღვარს გადააჭარბოს, და გაზეთი იქცეს ფასიანი რეკლამების და ინსინუაციების წუმპეში ჩაეფლოს. ინსინუაციებით ცხოვრობს ობივატელური მასა, და ამ მოლიპულ გზაზე დაქანებულმა გაზეთმა შეიძლება „პოპულიარობაც" მოიხვეჭოს სასკანდალო ამბების მოყვარე ობივატელებში და გავრცელდეს მათში, მაგრამ ეს იქნებოდა გაზეთის სრული გახრწნა. ასეთი მოვლენა ჩვეულებრივია ბურჟუაზიულ გაზეთებისათვის, მაგრამ ჩვენი პარტიულ-საბჭოთა ორგანოები ამ გზით ვერ ივლიან. მათ უნდა დაიცვან ამ შემთხვევაში არაჩვეულებრივი სიფრთხილე და ზომა. მათ [illegible] არ უნდა დაივიწყონ, რომ მხილება ცხოვრების გაჯანსაღების იარაღია, და არა მსუნაგი ობივატელური მასის ცნობისმოყვარეობის გამაღიზიანებელი და დამაკმაყოფილებელი საშუალება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გაზეთი „კომუნისტი" ამ მხრივაც სათანადო სიმაღლეზე დგას.

მხოლოდ ასეთი სიფრთხილით წარმოებული კრიტიკა და მხილება მიაღწევს მიზანს, შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოსწორებას, ბოროტმოქმედებათა მოსპობას, ცხოვრების მოწყობა-გაჯანსაღებას.

ამ პირობების დაცვით გაზეთის თვალი და ყური უნდა წვდებოდეს წარმოება-დაწესებულებათა კუნჭულებს და მზის სინათლეზე გამოჰქონდეს იქ აღმოჩენილი ჭუჭყი, ბნელი კომბინაციები, ბოროტმოქმედებანი და უმზგავსოებანი.

დაწესებულების მეთაური თუ თანამშრომელი, რომელსაც რაიმე დანაშაული ჩაუდენია, შიშით უნდა ხსნიდეს გაზეთის №-ს, იმის მოლოდინში, რომ იქ წააწყდება თავისი „საგმირო საქმეების" მხილებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოროტ-მოქმედებათა და დეფექტების გამომჟღავნება მარტო არ არის საკმარისი. ხშირად ამას არავინ აქცევს ყურადღებას; გაზეთის შენიშვნა გამოხმაურებას ვერ ჰპოულობს..

ამ მოვლენას უნდა მოეღოს ბოლო. პრესის ხმა არ უნდა დარჩეს უშედეგოდ. რედაქცია არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო მამხილებელი მასალის გამოქვეყნებით; მან ამასთან თვალყური უნდა ადევნოს, თუ რა შედეგი მოჰყვება მის კამპანიას.

ბ. ძ.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 217.

„ს. ს. რ. კავშირის ცაკის მესამე სესია"

ამხ. ენუქიძის წერილი

მოსკოვი. 23 სექტემბერი. ამხ. ენუქიძის წერილში, რომელიც მოთავსებულია „იზვესტიაში" ნათქვამია შემდეგი:

„7 ნოემბერს ტფილისში შეიკრიბება ს. ს. რ. კავშირის ცაკის მესამე სესია. საკავშირო რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მესამე სესიის მოწვევა ტფილისში მოასწავებს მოკავშირე რესპუბლიკების და მათი დედა-ქალაქების თანასწორუფლებიანობას. ეს მოწვევა დაანახვებს კავშირის ფართო ხალხთა მასებს და აგრეთვე საზღვარ-გარეთელ ჩვენს მტრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქმით სცდილობს განახორციელოს მჭიდრო კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ხალხებთან.

ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები აშკარად დაინახავენ, და გაიგონებენ პარტიულ და საბჭოთა მოღვაწეების სიტყვას, რომელთაც (გამოტოვებულია)... ცილს სწამებენ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ყველა მტრები—მენშევიკები, ესერები, თეთრგვარდიელები და ევროპის მოსყიდული პრესა.

ამიერ-კავკასიის მშრომელები ნათლად დაინახავენ განსხვავებას საბჭოთა ხელისუფლებასა და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების ხელისუფლებას შორის, საბჭოთა რუსეთთან კავშირის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყოფილ მთავრობის ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობისაგან დამოკიდებულების შორის.

იხილავს რა სესიის დღის წესრიგს (გამოტოვებულია)... ამხ. ენუქიძე აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიელი ამხანაგები დიდის აღტაცებით შეხვდენ ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქში სესიის მოწვევის ამბავს".

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

რა ხდება გერმანიაში

გერმანიის კომპარტიის ცეკამ გერმანიის პროლეტარიატისადმი გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს შეკავშირების აუცილებლობას და ბრძოლას მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენისათვის. მოწოდება ამბობს, რომ გერმანიის მთავრობა ემზადება სრულ კაპიტულიაციისათვის და გერმანიისათვის მუშების მონებად გადაქცევისათვის.

უკანასკნელ დღეებში მარკა ხელოვნურად ასწიეს, რამაც ბირჟაზე სრული არევ-დარევა გამოიწვია.

გერმანიაში მყოფი რუს ემიგრანტების გამომცებლობანი ახალ წიგნების ბეჭდვას აღარ იწყებენ: მწერლები ემიგრანტები გერმანიიდან გარბიან რუსეთსა, პრაგასა და პარიზში.

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის გამგეობამ 500 გირვანქა სტერლინგი გადასდო გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა შვილების დასახმარებლად.

რეიხსტაგის სხდომაზე მთავრობა გააკეთებს მოხსენებას რურის საკითხის შესახებ.

გერმანიის კომპარტიის ცეკას მიმართვა გერმანიის პროლეტარიატისადმი.

ბერლინი. 22 სექტემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელიც მიმართულია გერმანიის პროლეტარიატისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთავრობა ამზადებს წინააღმდეგობის შეწყვეტას რურის ოლქში უარს ამბობს თავდაპირველად წაყენებულ პირობაზე ფრანგების ჯარების მიერ რურის ოლქის ევაკუაციის შესახებ. გილფერდინგის განცხადებამ რურისათვის ფინანსიურ დახმარების შეწყვეტის შესახებ, ყველას თვალები აუხილა და დაანახვა მთავრობის ნამდვილი ზრახვები. რურში წინააღმდეგობის შეწყვეტა ნიშნავს დღევანდელ პირობებში საფრანგეთის კაპიტალისათვის მშრომელთა მასების დამონავებას.

დადგა დრო, როცა ბურჟუაზიამ უნდა დასთმოს ძალა-უფლება გერმანიის მშრომელთა გადასარჩენად. ერთად ერთი ხსნა მდგომარეობს მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენაში. მოწოდება ამჟღავნებს ნაციონალისტების და ფაშისტების თვალთმაქცობას, რომელნიც პროტესტს აცხადებენ შტრეზემანის კოალიციის წინააღმდეგ, მაგრამ ნამდვილად კი ისინი არიან მძიმე მრეწველობის და მემამულეების ისეთი დამქაშები, რომელნიც ყოველთვის მზად არიან დაუმორჩილონ პუანკარეს გერმანიის ხალხთა მასები, დაიწყონ სამოქალაქო ომი პროლეტარიატის წინააღმდეგ და დაანაწილონ გერმანია.

მიმართვა მოუწოდებს მასიურ საპროტესტო დემონსტრაციებისაკენ, და აფრთხილებს ფაშისტების მხრივ შესაძლებელ პროვოკაციისაგან. „დღეს ამოცანას შეადგენს, ნათქვამია მოწოდებაში, მასიურ პოლიტიკურ გაფიცვის გამოცხადება მუშურ-გლეხური მთავრობის შესადგენად გერმანიის მჭიდრო კავშირი ს. ს. რ. კავშირთან და რურის საკითხის გადაჭრა ბურჟუაზიის ხარჯზე".

მდგომარეობა რთულდება.

ბერლინი 22. სექ. გერმანიის მთავრობის პარტიის რიგებში საშიშროება თანდათან იზრდება, რაც გამოწვეულია ნაციონალისტურ და ფაშისტურ ელემენტების მუქარით პასიურ წინააღმდეგობის მოსალოდნელ შეწყვეტის გამო. ნაციონალურ პარტიის ფრაქციამ რეიხსტაგში და პრუსიის ლანდტაგში აირჩია კომიტეტი, რომელიც მუდმივად ბერლინში უნდა იყოს რეიხსტაგის და ლანდტაგის სესიების შუალედებში. პარტია ხსნის ამ ნაბიჯს პოლიტიკურ მდგომარეობის განსაკუთრებული გართულებით. მოსალოდნელია დიდი ამბები რომლის შესახვედრად მზად უნდა იყოს პარტია.

რუსი მწერლები გერმანიიდან გარბიან.

ბერლინი 22 სექტემბერი. გერმანიაში მყოფ რუს ემიგრანტების გამომცემლობანი ახალი წიგნების ბეჭდვას აღარ იწყებენ და მხოლოდ დაწყებულებს ამთავრებენ. მწერალი ემიგრანტები გერმანიიდან გარბიან რუსეთსა, პრაგასა და პარიზში.

რეიხსბანკის მანევრი

ბერლინი. 22 სექტ. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დოლარის კურსმა 110 მილიონ მარკამდე დაიწია. ეს გარემოება შედეგია რეიხსბანკის ახალი მანევრისა; ბანკმა მოულოდნელად დააკმაყოფილა მსყიდველები უცხოეთის ვალიუტისა სავსებით მაშინ, როდესაც წინად მოთხოვნილების 5—10 პროც. აკმაყოფილებდა. მარკის კურსის გამაგრებას ფულის ნიშნების სიმცირემაც შეუწყო ხელი.

ბირჟაზე სრული დაბნეულობაა, რადგანაც არ იციან რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი ხელოვნური აწევა მარკის კურსისა.

გენერალ დეგუტის განცხადება

ბერლინი. 22 სექტემბ. რურის საოკუპაციო ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა დე-გუტმა განაცხადა, რომ რეინის ოლქის სეპარატისტული მოძრაობა საფრანგეთს არ აინტერესებს, რადგანაც ეს არის გერმანიის შინაური პოლიტიკის საკითხი. ჩემთვის სულ ერთია ნაციონალისტები, კომუნისტები თუ სეპერატისტები, რადგანაც ისინი სუყველანი გერმანული პოლიტიკური პარტიებია.

500 გირვანქა სტერლინგი გერმანიის რევოლიუციის დაღუპულ მებრძოლთა შვილებს.

მოსკოვი. 23 სექტემბერი. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის გამგეობამ 500 გირვანქა სტერლინგი გადასდო გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის მსხვერპლთა შვილებისათვის დახმარების მოსაწყობად.

პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის წინაშე.

ბერლინი. 24 სექტემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი თავის წერილში „ხვალდილით" აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობას მეტი აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ გააუქმოს დეკრეტი პასიური წინააღმდეგობის შესახებ რურში.

რეიხსტაგის სესიის გახსნის გამო.

ბერლინი. 24 სექტემბერი. რეიხსტაგის სესიის სხდომაზე კაბინეტი წარმოადგენს ცნობებს რურის და რეინლანდის წარმომადგენლებთან, მოლაპარაკების შესახებ.

ბრძოლა ტიურინგიის ს.-დ. პარტიის შიგნით.

ბერლინი. 23 სექტემბერი. ტიურინგიის მთავრობის შედგენის საკითხში სწარმოებს ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებებს შორის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრულიად გერმანიის ცეკამ გაგზავნა ტიურინგიაში დიტმანი, რომელსაც ევალება გადმოიბიროს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დიდი კოალიციის ტაქტიკის მხარეზე. სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთამაც, თავის მხრივ, გაგზავნა ტიურინგიაში როზენფელდი, რომელმაც აგიტაცია უნდა აწარმოოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ცხადია, მემარცხენეებს მეტი შანსები აქვთ გამარჯვებისათვის.

კომუნისტები მხარს დაუჭერენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მთავრობას. რადგანაც სოციალ-დემოკრატებმა არ მიიღეს კომუნისტების მიერ წარდგენილი პირობები მათი მთავრობის შემადგენლობაში შესვლისათვის (ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობების მოწვევა და პროლეტარული რაზმების შეთანხმებულათ შედგენა), საკითხი კომუნისტების მთავრობაში შესვლის შესახებ მოიხსნა. სოციალ-დემოკრატები შიშობენ, რომ, შეთანხმებულათ პროლეტარული რაზმების შექმნის შემთხვევაში, მუშათა მასები მათ ჩამოშორდებიან.

მუშების ახალი გამოსვლები.

ბერლინი. 23 სექტემბერი. შაბათს დრეზდენში კვლავ მოხდა მუშების გამოსვლები, რასაც მოჰყვა პოლიციასთან შეტაკებები. დაჭრილია რამდენიმე კაცი.

მარკის კურსი.

ბერლინი. 23 სექტემბერი. დღეს ვალიუტის ოფიციალური კურსი არ ყოფილა. შავ ბირჟაზე დოლარი ღირდა 160—165 მილ. მარკა.

ბულგარეთის ამბები

აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს რამოდენიმე ადგილები და შესწყვიტეს კავშირი სოფიასა და ცარეგრადს შორის.

მოძრაობა ჩრდილოეთ ბულგარეთში ფართე ხასიათს ღებულობს; რადომირში მთავრობის ჯარები სასტიკად დამარცხდენ.

ზაგორში მოხდა შეტაკება მთავრობის ჯარებს და შეიარაღებულ კომუნისტებს შორის, რომელსაც შედეგად მოჰყვა დიდძალი მსხვერპლი.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს გლეხთა პროფკავშირების მოწყობა.

რევოლიუციონური მოძრაობა მოიცვა მთელ ჩრდილოეთ ბულგარეთს.

ვენა. 22 სექტ. სამხრეთ სლავიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რევოლიუციონურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი ჩრდილოეთ ბულგარეთი; მუშებმა და გლეხებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები რადომირის რაიონში სოფიას მახლობლად.

თვით ბულგარეთის მთავრობასაც არ შეუძლია სიმართლის დაფარვა.

ვენა. 22 სექტ. ბულგარეთში აჯანყებულმა კომუნისტებმა გლეხებთან ერთად ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ადგილები და შეწყვიტეს კავშირი სოფიასა და ცარეგრადს შორის. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მოძრაობა ჩრდილოეთ ბულგარეთში ფართო ხასიათს ღებულობს. რადომირში სოფიას მახლობლად, მთავრობის ჯარები სასტიკად დამარცხდენ. იტყობინებიან აგრეთვე გაცხარებულ ბრძოლის შესახებ კარლოვოში, ღიმრიცსა და სალკოვში, სადაც მთავრობის ჯარები აგრეთვე დამარცხდენ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თვით ბულგარეთის მთავრობასაც აღარ შეუძლია სიმართლის დაფარვა. ბულგარეთის ოფიციალური სააგენტო იტყობინება, რომ 19 სექტემბერს ზაგორში მოხდა შეტაკება მთავრობის ჯარებსა და შეიარაღებულ კომუნისტებს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა დიდძალი მსხვერპლი.

კომუნისტები ბრძოლისაკენ მოუწოდებენ.

ვენა. 22 სექტ. სოფიასა და პროვინციაში კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება. კომუნისტებმა გამოაკრეს ქუჩებში მიმართვა, რომელიც ბრძოლისაკენ მოუწოდებს. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს მოწოდების ავტორს.

ბულგარეთის ესდეკები აწყობენ გლეხთა პროფკავშირებს.

ვენა. 22 სექტ. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატები სცდილობენ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერას, რისთვისაც მათ გადასწყვიტეს გლეხთა პროფკავშირების მოწყობა. ეს პროფკავშირები შეუერთდებიან სოციალისტურ პროფკავშირთა გაერთიანებას.

მეამბოხეთა მოძრაობა.

ვენა. 23 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო ადასტურებს ცნობას ახალ და ძველ ზაგორაში და ბულგარეთის სხვა ადგილებში აფეთქებულ ამბოხების შესახებ. დასახელებულ ადგილებში მეამბოხეებს სასტიკი შეტაკება მოუხდათ მთავრობის ჯარებთან. ბულგარეთის მთავრობის მიერ მიღებულია საგანგებო ზომები ამბოხებათა ჩასაქრობათ.

ბულგარეთის კომპარტიის საქმე.

ვენა. 23 სექტემბერი. ბულგარეთის პრესა იუწყება, რომ ბულგარეთის კომპარტიის საქმის გამოძიება დამთავრდება ათი დღის ვადაში გამოძიების შედეგათ შესაძლებელია ორი გადაწყვეტილება: ან პარტია მთლიანათ გამოცხადებული იქნება ტერორისტულ ორგანიზაციათ, ან პასუხისგებაში მიცემულ იქნებიან პარტიის ლიდერები.

მდგომარეობა იაპონიაში

იაპონიის სოციალისტთა ბელადის ვერაგული მკვლელობა.

ტოკიო. 22 სექტემბერი. იაპონიის სოციალისტთა ბელადი საკაი ოსუგი, ცოლით და ორი შვილით შეტყუებულ იქნა ქალაქ ამახუდის ჟანდარმერიის სამმართველოში, სადაც იგი, წამებისა და შეურაცხყოფის შემდეგ, მოკლულ იქნა ოჯახიანათ კაპიტან ამაგაზის მიერ. მოკლულთა გვამები ჭაში ჩაჰყარეს. საკაი ოსუგის სიკვდილი და წინეთ კიდევ—სოციალისტ კოსენ საკაისა და სხვა სოციალისტურ ბელადების უგზოუკვლოთ დაკარგვა იაპონიის პოლიცია ცდილობს ახსნას მიწისძვრის დროს დაღუპვით. ოსუგის და მისი ოჯახის წევრთა გვამების აღმოჩენამ იაპონიის მთავრობა აიძულა დაეპატიმრებინა კაპიტანი ამაგაზი და სამსახურიდან დაეთხოვა ჟანდარმერიის უფროსი პოლკოვნიკი კოიამა და აგრეთვე ტოკიოს ჟანდარმერიის უფროსი.

მთავარსარდალი ფუკუდა გადადგა, მის ადგილზე დანიშნულია იაზანია. იაპონიის მასების მღელვარების გამო, არსებობს საფუძველი სერიოზულ შედეგების შიშისათვის.

ამხ. ანტონოვის მოხსენება იაპონიის მიწის ძვრის შესახებ.

ვლადივოსტოკი. 22 სექტემბერი. „როსტა"-ს წარმომადგენელმა იაპონიაში ანტონოვმა თავის მოხსენებაში პარტიულ კრებაზე განაცხადა, რომ ცნობები იაპონიაში მომხდარ კატასტროფის შესახებ გაზვიადებულია ამერიკულ სააგენტოების მიერ. 2—3 წლის განმავლობაში იაპონია თავს დაიხსნის მომხდარ უბედურებისაგან. რაიმე პოლიტიკურ ცვლილებების მოლოდინი იაპონიის კატასტროფის გამო, უსაფუძვლოა.

ტაიფუნის და წყალდიდობის შედეგები.

ვლადივოსტოკი. 22 სექტემბერი. ტაიფუნმა და წყალდიდობამ დიდი ზარალი მოუტანეს ტოკიოს, იოკოგამას და იაპანაშის. წყალში ჩაიძირა 5.500 ტონიანი კრეისერი „ნაკა". სარკინიგზო მიმოსვლა სამხრეთთან შეწყვეტილია. 40.000 ლტოლვილი მოკლებულია თავშესაფარს. ზარალი აღრიცხულია 30 მილ. იენათ.

4.000 გადასახლებული კორეიელი

ვლადივოსტოკი. 20 სექტემბერი. სეულში (კორეია) ჩამოვიდა მიწის ძვრის რაიონებიდან ეტაპით გადმოსახლებულ კორეიელთა პირველი პარტია—4.000 კაცი.

საბჭოთა რუსეთის და სპარსეთის დაახლოვება

სპარსეთი

რუსეთის დელეგაცია თეირანში ჩავიდა

პეტროგრადი. 21 სექტემბ. სავაჭრო პალატამ დეპეშა მიიღო, რომ რუსეთის დელეგაცია ამხ. მაკოვეცკის მეთაურობით თეირანში ჩასულა.

სპარსეთის გემი პეტროგრადში.

პეტროგრადი 21 სექტ. ამ დღეებში პეტროგრადში მოელიან სპარსეთიდან ტრანზიტით წამოსულ გემს, რომელიც სხვადასხვა ნედლი მასალით არის დატვირთული.

რუსეთ-სპარსეთის დაახლოვება ნამდვილი ფაქტია.

მოსკოვი. 22 სექტ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რიკოვმა ნიჟეგოროდში მყოფ სპარსელ სოვდაგრებისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია: რუსეთისა და სპარსეთის ხალხის ეკონომიური დაახლოვება რეალური ფაქტია, რაც აუცილებლივ გამოიწვევს რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას.

სხვადასხვა

საფრანგეთი

თავდასხმა ამხ. რაპოპორტზე.

პარიზი. 20 სექტემბერი. ყოფილი რუსი ადვოკატი და ვრანგელის ოფიცერი კაცენელსონი მოკვლის განზრახვით შეიპარა რაპოპორტის ბინაზე და, ვერ ნახა რა იგი შინ, დაჭრა რაპოპორტის ქალიშვილი. დაკითხვის დროს კაცენელსონმა განაცხადა, რომ მას სურდა შური ეძია რაპოპორტის მოკვლით „ბოლშევიკურ ტერორის მსხვერპლისათვის". „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს რაპოპორტმა განაცხადა, რომ კაცენელსონი რამოდენიმეჯერ იყო მასთან. იგი სტოვებდა განათლებულ, მაგრამ ცოტა არანორმალურ კაცის შთაბეჭდილებას. კაცენელსონი სთხოვდა რაპოპორტს საშუალება მიეცა მისთვის გამგზავრებულიყო რუსეთში, როგორც ჩანს, დიდი ტერორისტულ აქტის ჩადენის განზრახვით.

მიწის ძვრა ბრეტანში და კუნძულ მალტაზე.

ლიფილდი. 20 სექტემბერი. ბრეტანის (საფრანგეთი) სხვადასხვა ადგილს უკანასკნელ დღეებში შემჩნეული იყო მიწის ქვედა ძალების მოქმედება. კუნძულ მალტადან მიღებულ ცნობით, იქ ადგილი ქონდა ძლიერ მიწის ძვრას, რომელსაც არ გამოუწვევია სერიოზული ნივთიერი ზარალი.

წითელი ტელეგრამები

რუსეთში.

საუბარი ამხ. საპრონოვთან.

მოსკოვი. 23 სექტემბ. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სრულიად რუსეთის ცაკის მომავალი სესიის შესახებ ამხ. საპრონოვმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დასმულია სამი უმნიშვნელოვანესი საკითხი: ადგილობრივი ფინანსების, საგუბერნიო აპარატის რაიონებათ დანაწილების და მისი გამარტივების შესახებ. ადგილობრივი ფინანსების პროექტი საკმაოთ იყო განხილული ადგილობრივად საგუბერნიო აღმასკომების მიერ, რომლის მასალები გამოყენებულ იქნა საკითხის უფრო სისწორით გამოსარკვევათ. რაიონული ორგანოების დებულების პროექტს იხილავს სრულიად რუსეთის ცაკთან არსებული რაიონებათ დაყოფის კომისია. სესია განიხილავს მხოლოდ ურალის რაიონებათ დანაწილების საკითხს.

საგუბერნიო აპარატების გამარტივების პროექტი შემუშავებულია წინანდელი სესიის და აგრეთვე საგუბერნიო აღმასკომებისაგან მიღებული მასალების მიხედვით. ამ პროექტით უნდა მოხდეს სახალხო განათლების განყოფილებების გაერთიანება ერთ საერთო განყოფილებაში, საფინანსო განყოფილების და ქვეგანყოფილების გაერთიანება საფინანსო საგადასახადო განყოფილებაში საგუბერნიო სახალხო მეურნეობათა საბჭოების—კომუნალური მეურნეობის განყოფილებებთან შეერთება. სამმართველოს განყოფილება და საგუბერნიო ეკონომიური საბჭო უქმდება.

დღის წესრიგში საანგარიშო მოხსენებები ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, საგუბერნიო აღმასკომის, თურქესტანის ცაკის და საბიუჯეტო კოლეგიის. სესია დაიწყება 25 ოქტომბერს.

საუბარი ამხ. კალინინთან.

მოსკოვი. 23 სექტემბერი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სრულიად საკავშირო ცენტ. აღმასრ. კომიტეტის მომავალ სესიების შესახებ ამხ. კალინინმა განაცხადა: „რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სრულიად საფედერაციო საკანონმდებლო ორგანოდან გადაკეთდება ადგილობრივ ორგანოდ და ამიერიდან უფრო დაუახლოვდება ადგილობრივ საჭიროებათ. ამისათვის სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მომავალ სესიის მთავარ საკითხად დაისმება საბჭოთა აღმშენებლობა ადგილობრივ, უპირველესად ყოვლისა ადგილობრივ საბჭოთა აპარატის გამარტივება, რაიონებად დაყოფა, ალტაის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენებანი და სხვ.

საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესსიის არსებით საკითხად იქნება შედგენა და შემუშავება საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისარიატების დებულებისა.

უზენაეს საკავშირო ორგანოს მოწვევა ტფილისში მთელი ქვეყნის თვალწინ ნათელსჰყოფს ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ერების მჭიდრო კავშირს. ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი გაეცნობა უზენაეს ორგანოს მუშაობას, გაეცნობა ახალი ცხოვრების აღმშენებელ ბელადებს, უფრო მეტად შეიგნებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს არის შესაძლებელი მშრომელთა ურთიერთი თანამშრომლობა. მეორე მხრივ, თვით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებიც გაეცნობიან ამიერ კავკასიის მოსახლეობის საჭიროებათ.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და აფხაზეთის პავილიონების გახსნა

კვირას, 9 აგვისტოს მოხდა აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის და აფხაზეთის პავილიონების საზეიმო გახსნა, გახსნას დაესწრენ კრასინი, ჩიჩერინი, ენუქიძე, სოსნოვსკი და სხვები. მისასალმებელ სიტყვაში გამოფენის გამხსნელმა ტერ-გაბრიელიანმა აღნიშნა, რომ როგორც რევოლიუციონურ მოძრაობაში პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატი, ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, ისე სამეურნეო აღმშენებლობაშიაც მათ დახმარებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები წინ წაიწევენო. საპასუხო სიტყვაში კრასინმა აღნიშნა, რომ რევოლიუციონერობაში კავკასიელი ამხანაგები არ ჩამოუვარდებიან პეტროგრადელებს და მოსკოველებს, რომ მას წინათ უმუშავნია ქართველ, სომეხ და აფხაზელ ამხანაგებთან ერთად, რომელთაც თავის ცეცხლისებურ ტემპერამენტით და დაუშრეტელი ენერგიით დიდი როლი ითამაშეს რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

სიტყვების შემდეგ დამსწრენი მთელი ჯგუფით შეუდგენ თვითეულ რესპუბლიკების პავილიონის ექსპონანტების დათვალიერებას. დათვალიერებულ იქნა ჯერ აზერბეიჯანის, შემდეგ სომხეთის, საქართველოს და ბოლოს აფხაზეთის პავილიონი. დათვალიერებამ გასტანა რამდენიმე საათი. დაწვრილებით ეცნობოდენ ყოველივე ექსპონანტს. ექსპონანტებს შორის აღმოაჩინეს ბევრი ისეთი რამ, რის არსებობაც ამიერ-კავკასიაში არ იცოდენ. მაგალითად აფხაზეთის პავილიონში ნახეს ხის ჯიში საქსოვ წარმოებისათვის ძირფასი, ეგრედ წოდებული „სამშიტი“. რუსეთს ამ ჯიშიდან გაკეთებულ საქსოვ მექანიკურ მანქანისათვის „ჩელნოკი“ შემოჰქონდა საზღვარ-გარეთიდან და სრულებით არ იცოდენ, თუ ეს ჯიში აფხაზეთის ტყეებში იზრდებოდა. საერთოდ დამთვალიერებელნი გაკვირვებული იყვენ ამიერ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრით. კრასინმა და ჩიჩერინმა გამოთქვეს აზრი, რომ ამიერკავკასიას დიდი მომავალი აქვსო.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პავილიონები სდგანან ერთმანეთის გვერდში და მათ უკავიათ [illegible] გამოფენის ტერიტორიის ცენტრში. ამ პავილიონებიდან იწყება სხვა მოკავშირე და ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკების პავილიონები მახლობლათ დგას უკრაინის, კირგიზელების და თურქესტანელების პავილიონები. აფხაზეთის პავილიონი ამ ჯგუფიდან ცოტა მოშორებით იმყოფება და გაწყობილია „ნესკუჩნის“ ბაღის დასაწყისში—ტბის ნაპირას.

საქართველოს პავილიონი შეიცავს რამოდენიმე ნაწილს: მთავარ პავილიონს, რომელიც მოწყობილია ძველი ქართული დიდ და ხშირ ფანჯრებიან და აივნით შემოვლებულ შენობის სტილის მიხედვით. უკანა ფასადზე მთავარ პავილიონს უერთდება ორი შუშით დახურული ორანჟერეა. ერთ მათგანში გაშენებულია ცოცხალი ვენახის ვაზების ჯიშები, მეორეში სუბტროპიკული მცენარეები. ორანჟერეის გვერდში ორ პატარა ადგილზე რამოდენიმე საჟენის სივრცეზე გამართულია ჩაის, მანდარინის და ლიმონის ცოცხალი ბუჩქები. მახლობლათ არის სატყეო ექსპონანტების ცალკე შენობა, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ხეტყის ყველა ჯიშები, სათანადო რუქებით და დიაგრამებით.

საქართველოს პავილიონის წინა ფასადი.

პავილიონის წინა ფასადის მარჯვენა მხარე.

პავილიონის უკანა ფასადი.

განსაკუთრებით სდგას (მთავარი პავილიონის უკანა ფასადზე) ორ სართულიანი ქართლური სტილის ოდა (გორის მაზრის შენობების დამახასიათებელი). ოდის ქვედა სართული აშენებულია ქვით, ზევითა-ორი ოთახისაგან შემდგარი შემოვლებულია საკმაო დიდი აივნით. ქვედა სართულში გაწყობილია მარანი, სადაც არის ყველაფერი ის, რაც ახასიათებს მას, როგორც, მაგალითად, საწნახელი, მიწაში ჩაფლული ქვევრები, ტიკები და სხვა ჭურჭლეულობა. მარანი უშუალოდ უერთდება ორანჟერეას, სადაც გაშენებულია ვენახი.

მარნის ერთი ნაწილი გამოყოფილია ცალკე ოთახათ, სადაც მოთავსებულია ღვინის სანიმუშო ექსპონანტები (სახელმწიფო მამულების, ვარციხის, კოოპერატიული, კახელ მევენახეთა საზოგადოების და სხვა).

განსაკუთრებული ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო იარაღებს—გუთნებს, სალეწავ, სათესავ, საფარცხავ და სხვა მანქანებს. ეს ადგილი შემოფარგლულია ერთი მხრით ქართული სოფლის დამახასიათებელ წკნელის რაგვით.

მთავარი პავილიონი იყოფა სამ ნაწილათ. შუა ნაწილი შედგენს მოზრდილ მოგრძო დარბაზს, რომელიც ორივე მხარედან თავდება დანარჩენ ორ მცირე ნაწილებით. შესავალთან მოწყობილია მოდელები ქართლული, კახური, იმერული, გურული და სვანური ტიპიური საცხოვრებელი სახლებისა, დამხმარე შენობებით და ეზოებით. მოდელები ძლიერ კარგათ და ცოცხლად არის შერულებული [illegible] მედდება, ცხოველების კულტურა, მევენახეობა და მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, ტყის კულტურის საქმე, მემინდვრეობა, კულტურული მცენარეულობის გაშენება, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. დიაგრამებით და ქარტებით გაშუქებულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, საკმაო ადგილი [illegible] ლი ნაწილი დაკავებული აქვს მცენარეულობის საზიანო მწერების და ავადმყოფობასთან ბრძოლას—მოყვანილია დიაგრამები და მწერების ნიმუშები. საქართველოს მრეწველობის ექსპონანტებს და დიაგრამებს განსაკუთრებული კუთხე უჭირავს. აქ წარმოდგენილია ნიმუშები: შავი ქვის, ქვანახშირის, თუჯის და სხვა. მის ახლო მოთავსებულია კუსტარული წარმოების ექსპონანტები, ხელით ნაქსოვები და სხვა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს პავილიონი კარგათ არის მოწყობილი, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით. ექსპონანტი, დიაგრამა, ქარტა, სურათები—ეს კომბინაცია მთლიან შთაბეჭდილებას იძლევა ამა თუ იმ დარგის დაყენების შესახებ საქართველოში. კიდეც რომ არ იყვენ ამხსნელები, რომელნიც ამოწურულ ახსნა-განმარტებებს აძლევენ არა თუ ექსკურსანტების მთელ ჯგუფებს, არამედ თითო ოროლა მნახველებსაც, ექსკურსანტები ადვილათ გაერკვევიან ექსპონანტებში დიაგრამების, ქარტების და სურათების საშუალებით.

ერთი რამ აკლია ჩვენს ექსპონანტებს, როგორც ვიცით, გამოფენა არა მარტო სასოფლო-სამეურნეოა, არამედ მისი საშუალებით საბჭოთა კავშირში შესული ხალხები ეცნობიან ერთმანეთს, ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, მეურნეობას. ამიტომ ნაციონალური პავილიონები უნდა სწურავდენ ხალხის ცხოვრების ყველა მხარეებს. ჩვენი პავილიონი მხოლოდ ამ მხრივ მოიკოჭლებს. არ არის ქართული მწერლობის ექსპონანტები—წიგნები. სპეციალური აგრონომიული ლიტერატურა ბლომათ არის, მაგრამ უმეტესი ნაწილი რუსულ ენაზე. საჭირო იყო აგრეთვე ყოფა-ცხოვრების გამოსახატავათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტანსაცმელის ნიმუშები. ეს დანაკლისი შევსებული უნდა იქნეს, თუ ახლა არა, გამოფენის მეორე სეზონზე, რომლის მოწყობა განზრახულია მომავალი წლის მაისში.

სომხეთის პავილიონი შეიცავს მხოლოდ ერთ შენობას, რომელიც თავის ზომით უფრო მცირეა, ვიდრე საქართველოს მთავარი პავილიონი. შენობა ერთ სართულიანია და მას ადგას პატარა აივანი.

პავილიონში წარმოდგენილია უმეტეს ნაწილათ სომხეთის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ექსპონანტები. არის ორგინალური, შინაწარმოების ნაწარმოები—ნაქარგი სურათები და სხვა. ვერცხლის ვარაყის ხელოვნების დასასურათებლად პავილიონში მუშაობენ ორი ხელოვანი მოვარაყე. საკმაო ადგილი უჭირავს ღვინის ექსპონანტებს. არის ტყავეულობის სარძევე წარმოების და ტბილეულობის ექსპონანტები.

აზერბეიჯანის პავილიონიც ერთი შენობისგან შესდგება, რომელიც შეიცავს რამოდენიმე განყოფილებას — მევენახეობა — მეღვინეობა, სატყეო განყოფილება, მიწად მოწყობის, სამელიორაციო, მებაღეობა და მეხილეობა, ცხოველების კულტურა, ბამბის საქმე და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა.

აფხაზეთის პავილიონი. ლამაზათ არის მოწყობილი ტბის ნაპირას. თავის ორგინალობით ის ირჩევა სხვა პავილიონებს შორის.

ექსპონანტებიც მდიდრათ არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით ბლომათ არის ხე-ტყის ექსპონანტები, რომელიც უკავიათ პავილიონის ცალკე ოთახი. პავილიონის ეზოში და ცალკე ორანჟერეაში ბევრი არის პალმები და სუბტროპიკული ნაყოფის და ტეხნიკური მცენარეების ჯიშები. წარმოდგენილია თამბაქოსა და ღვინის ექსპონანტები. ცალკე კუთხე უჭირავს საკურორტო საქმეს სურათებით და დიაგრამებით. პავილიონის უკანა ეზოში გაწყობილია აფხაზური ფაცხა, სასიმინდე და სოფლის გლეხის სხვა შენობები.

ს. გოდაბრელიძე.

მოსკოვი, 13 სექტემბერი.

წითელ ჯარს—წითელი კომანდირები

ჩვენი წითელი არმიისათვის

ყველა ოლქკომებს და მაზკომებს

ძვ. ამხანაგებო! ყველამ კარგად იცით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე გარდამავალ ხანაში რესპუბლიკის კავშირის დაცვისა და საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებისათვის წითელ არმიას. წითელი არმია მხოლოდ მაშინ იქნება უძლეველი, როდესაც მას წითელი სარდლები ეყოლება სათავეში. ჩვენს ნაციონალურ დივიზიაში—ქართულ, სომხურ და ადერბეიჯანისაში, არ არიან წითელი კომანდირები. წითელი ლაშქრის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ძველი სპეცებია.

კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას დღეს შეადგენს—წითელ კომანდირთა კადრის შექმნა, რათა ამით შეიქმნეს უძლეველი სახელოვანი წითელი ლაშქარი. ამ მიზნით ყველა პარტიულმა, ახალგ. კომკავშირის და უპარტიო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა კურსანტების მოკრება სამხედრო სასწავლებლებისათვის წარმატებით ჩატარდეს.

წინადადება გეძლევათ დაიწყოთ კამპანია. მოაწყვეთ მაზკომებთან მომკრები კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მაზკომის მდივანი ან სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), წარმომადგენლები: კომკავშირიდან, მაზრის პროფბიუროდან და მაზრის სამხედრო კომისარი (სადაც ასეთები არიან). დასვით საკითხი ერთიან პარტიულ დღეს უჯრედების სხდომებზე და აგრეთვე მუშამოსამსახურეთა საერთო კრებებზე ფართოდ გააშუქეთ წითელი სარდლის მნიშვნელობა და აგრეთვე ის შეღავათები და მიღების პირობები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს სამხედრო სკოლათა კურსანტებს.

უმთავრესი ყურადღება მიაქციეთ კურსანტების მოკრებას კომკავშირის მუშათა ფაკულტეტების მსმენელების, პატიოსან და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ უპარტიო მუშათა და გლეხთა წრეებიდან. ც. კ. დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კამპანიას წარმატებით ჩაატარებენ და მისცემენ სათანადო კურსანტებს ჩვენს წითელ ლაშქარს. საჭიროა გამოიგზავნოს კურსანტები წითელი კომანდირების ქართული სამხედრო სკოლისათვის (ტფილისი), სომხური სამხედრო სკოლისათვის (ერევანი) და რუსული სამხედრო სკოლისათვის. დანარჩენში მკაცრად დაიცავით თანდართული პირობები მიღებისა და ადგილების განაწილებისა.

ს. კ. პ. ცეკის მდივანი **ქართველიშვილი.**

სააგიტპროპო განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

კურსანტების მიღების პირობები

1. სკოლებში მიიღებიან ყველა მოქალაქენი მუშებიდან და გლეხებიდან 18 30 წლამდე.

2. მათ უნდა ექნეთ შემდეგი საგანმანათლებლო ცენზი:

1. ქვეითა და საცხენოსნო განყოფილებაში შესასვლელად:

ა) ჩქარა წერა-კითხვის ცოდნა იმ ენაზე (ქართულ, რუსულ, სომხური) რომელ განყოფილებაშიაც შედის მოხალისე.

ბ) ცოდნა ოთხი მოქმედებისა ანგარიშში. სწავლის კურსი 3 წლიანია.

II. საარტილერიო განყოფილებაში. ცოდნა ტეხნიკუმებისა და პირველი საფეხურის სკოლების ოთხი კლასის პროგრამის ფარგლებში, გეომეტრიისა და ალგებრის ზოგად წარმოდგენით სწავლა გრძელდება 4 წელიწადს. სავალდებულო ცოდნა იმ ენისა, რომელ სკოლაშიაც შედის.

მიღების წესი.

1. მოხალისენი დასახელებული ორგანიზაციის წევრები და აგრეთვე სოფლის უპარტიო ახალგაზრდობიდან იგზავნებიან ადგილობრივ სამაზრო სამხედრო კომისარიატებში შემდეგი საბუთებით: 1. მივლინებას [illegible] მომკრეფ კომისიიდან (მაზრის) [illegible] ანუ სხვა ბარათი, რომელიც ადასტურებს მათ ხნოვანებას, 3. განათლების საბუთი (თუ აქვთ ასეთი) და 4. პოლიტიკური რეკომენდაცია იმ ორგანიზაციიდან, რომელიც აგზავნის. მხოლოდ ეს ორგანიზაცია არ უნდა იდგეს რაიკომზე, სამაზრო პროფბიუროზე და კავშირის ცენტრალურ გამგეობაზე დაბლა.

შენიშვნა: 1) სამაზრო სამხედრო კომისრები აძლევენ სამგზავრო საბუთებს ქართულ სკოლაში იმ ადგილამდე, სადაც ეს სკოლა მდებარეობს. იმ მოხალისეებს კი, რომელთაც სურთ შესვლა რუსულ და სომხურ სკოლებში, უგზავნის საქართველოს სამხედრო კომისარს სათანადო სკოლაში გასაგზავნათ.

2) ერთი ცალი საბუთი სამხედრო სკოლაში მივლინებისა უნდა მიეცეს ხელზე მოხალისეს სკოლაში წარსადგენათ და მეორე ცალი კი რჩება სამხედრო კომისარიატში როგორც საფუძველი სამგზავრო საბუთების გაცემისა.

3) სამხედრო სკოლაში მოხალისეებს გამოცდიან იმ მასშტაბში რომელიც ნაჩვენებია 2 მუხ. 1. ა) ბ) და 2.

2. სამაზრო სამხედრო კომისარიატებში შეამოწმებენ მოხალისეების ჯანმრთელობას და ამავე კომისარიატის მიერ იგზავნებიან კომანდირთ სათანადო სკოლაში.

3. სამხედრო სკოლაში მივლინებულთ ეძლევათ სამგზავრო ხარჯი იმ ორგანიზაციიდან, რომელიც აგზავნის. უკვე თუ სკოლაში არ მიიღებენ მათ, ეძლევათ უკან სამგზავრო საბუთები და ხარჯი სამხედრო უწყების ანგარიშში.

4. მოხალისეების მივლინება ნორმალურ სამხედრო სკოლებში აღნიშნულ წესისა აკრძალულია.

5. ნორმალურ სამხედრო სკოლაში კურსანტათ ჩარიცხვის დღიდან მოხალისე ითვლება სამხედრო სამსახურში.

წითელ არმიელის და კურსანტის წოდებრივი უფლებები

უფლებები უოჯახო და ოჯახის მქონე კურსანტებისა.

1. უფლება აქვთ არ იქნენ გამოსახლებულნი მისი და მისი ოჯახის მიერ დაჭერილ ბინიდან (ბრძ. ცსპ. ეკ. საბჭ. სამხ. 1921 წლ. თარიღით № 2623 და 1922 წლ. № 2623 და 1922 წლ. თარიღით № 342).

2. არ შეიძლება შემჭიდროებულ იქმნეს იმ კურსანტის ბინა, რომელიც იმყოფება ფრონტზე (ბრძანება 1918 წლ. თარიღით № 5 და 122).

3. უფლება აქვთ შეენახოთ მათ და მათ ოჯახს ოთახი და გადაიხადონ ქირა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის დაწესებულ ტარიფით ბრძანება 1923 წლ. № 208).

4. უფლება აქვს მიიღოს ოჯახიანმა სამეურნეო დახმარება (ბრძანება 1919 წლ. თარიღით № 1050, 1051, 1683, 1920 წლ. № 476, 656, 1409 1921 წლ. № 605, 1261, 1811).

5. უფლება აქვს მიიღოს ოჯახის მქონემ დახმარება ყანების დასათესად თანახმად ბრძანებისა 1922 წლ. № 921.

6. უფლება აქვს შვილების უფასოდ აღზრდისა სასწავლებლებში (ს. საბ, ბრძანება 1921 წ. № 2511 და 1922 წლ. № 2555.

7. ენახება ყველა უფლებები მიწათ სარგებლობისა (ბრძანება 1919 წლ. № 680 და 1922 წლ. № 680).

8. უფლება აქვს მიიღოს საოჯახო სესხი (ბრძან. ს. საბ. 1922 წლ. № 1580, 1800, 1803).

9. პერსონალური უფლება აქვთ განთავისუფლებულ იქმნენ შრომის გადასახადისაგან (ბრძ. 1922 წლ. № 105 და 137).

10. უფლება აქვთ მოითხოვონ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შეცვლა სხვა სახის გადასახადით (ბრძანება 1922 წლ. № 1503 და 1506).

11. ოჯახში მჭამელ რიცხვის წევრთა გამორკვევის დროს მეურნეობისათვის გადასახადის შესაწერათ ოჯახის მჭამელ წევრთა რიცხვში ჩაითვლება ყველა სამსახურში მყოფი წითელ-არმიელნი; სამხედრო სასწავლებლის თვითეული კურსანტი კი უნდა ჩაითვალოს ორათ.

12. იმ პირთა ოჯახები, რომელნიც მსახურობენ წითელ ლაშქარში და აქვთ დასაბეგრი მიწა ერთ ნახევარი დესეტინა ანუ უფრო ნაკლები თავისუფალი არიან გადასახადის 3/4-დან,

13. იმ პირთა, ოჯახი, რომელნიც მსახურობენ წითელ ლაშქარში და აქვთ დასაბეგრი მიწა 2 ნახ. დესეტინა ან ნაკლები სრულიად თავისუფალნი არიან გადასახადიდან, უკეთუ მათ ოჯახში არ დარჩა შრომის უნარიანი წევრი მამრობრივი სქესისა.

წითელ არმიელთა და კურსანტების ოჯახთა უფლებები

1. უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ცოლისა და შვილების ჯანმრთელობის გამოსამრთელებლათ (ბრძ. რევ. სამხ. საბჭ. 1922 წ. თარიღით № 22)

2. უფლება აქვთ მიიღონ დახმარება მშობიარეთათვის (ბრძ. რევ. სამხ. საბჭოსა 1922 წ. თარიღით № 24 და 1923 წლ. თარიღით № 546.

3. უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ფულით სამკურნალო განყოფილების მოწმობის წარმოდგენის შემდეგ შრომის უნარის დაკარგვის შესახებ (ბრძ. რევ. სამ. საბჭ. 1921 წ. თარიღით № 278 და 2452).

4. უფლება აქვთ მიიღონ დახმარება დამარხვაზე (ბრძ. რევ. სამხ. საბჭ. 1921 წლ. თარიღით № 2950 და 1922 წლ. თარიღით № 22 და 161).

5. უფლება აქვთ მიიღონ სასურსათო ულუფა ოჯახის შრომის უნარ დაკარგულ წევრთათვის წითელ არმიელის ულუფის ნახევარი თვითეულ შრომის უნარ დაკარგულ წევრზე (ცოლი, შვილები, დები და ძმები 16 წლამდე) მშობლები 60 წელს გადაცილებულნი, უკეთუ სახლში არ არის შრომის უნარის მქონე წევრი და ოჯახის ყველა წევრები, თუ სრულებით დაკარგული აქვთ შრომის უნარიც, უნდა შეამოწმოს სამკურნალო კომისიამ და დაკმაყოფილებულ იქნან, მაგრამ არა უმეტეს ორი ულუფისა ოჯახზე.

ლოზუნგები უმაღლეს სასწავლებლებისათვის მსმენელთა მომკრეფ კამპანიისათვის

1. წითელ სარდალთა სკოლა ის სამჭედლოა, სადაც იჭედება მუშურგლეხური ხელისუფლების გამარჯვება.

2. ბურჟუაზიული ხელისუფლების დროს ლაშქარს ხელმძღვანელობდა მემამულეთა და კაპიტალისტების შვილები. მშრომელთა ხელისუფლების დროს კი წითელი სარდლები უნდა იქნენ მუშები და გლეხები.

3. სარდალთა სკოლა არა მარტო სამხედრო საქმის სკოლაა, არამედ იგი კომუნიზმის სკოლაც არის.

5. წითელი სარდალი სამხედრო საქმის მასწავლებელია და წითელ მეომართა პოლიტიკური აღმზრდელიც.

5. წითელო ახალგაზრდობავ—შენ მოგიწოდებს თავის წრეში წითელი კურსანტი—წითელი ლაშქრის სიამაყე.

6. წითელი კურსანტის ლოზუნგებია:

ომის იარაღის დაპყრობა,
რკინისებური ნებისყოფა,
მუშათა კლასის საქმისათვის და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის უსაზღვრო თავდადება.
შეგნებული დისციპლინა,
შეურიგებელი მტრობა კაპიტალისადმი,
ზრდილობიანობა,
სიმარჯვე,
გაწვრთნილება,
მუდმივათ მზად ყოფნა თავის განწირვისათვის.

7. სამხედრო სასწავლებელთა კარები ფართოდაა ღია მხოლოდ მუშებისა და გლეხებისათვის.

8. ამხანაგებო, ჩაეწერეთ უმაღლეს სასწავლებელში.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საავიტ. საპროპაგანდო განყოფილება.

მოგზაურობა მოვზე

შთაბეჭდილებები და დაკვირვებები *)

(რაჭის მაზრა)

5. სახალხო კურორტი—წყალტუპო.

ხშირათ გაიგონებთ, განსაკუთრებით უცხოელებისაგან, რომ საქართველო ბუნებით მეტათ მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ეს ბუნების სიმდიდრე ჯერ გამოუყენებელიაო. ეს სავსებით მართალია. რა თქმა უნდა საქართველოს ერთ უმთავრეს და დაულეველ სიმდიდრეს წარმოადგენს უთუოთ მინერალური ანუ სამკურნალო წყლები. რა წყლებს აქ არ ნახავთ. ქუთაისში ამას წინაზე მე გადმომცეს, რომ შოვზე უფრო ახლო ჩვენ გვაქვს ისეთივე და შეიძლება ბევრათ უფრო ძვირფასი წყლები,— ეს ხაირმოზე ბაღდადის რაიონში. ამ წყლების და იქაური ჰავის შესახებ პირდაპირ გასაოცარ ამბებს ლაპარაკობენ, თითქმის პირდაპირ იმათ სასწაულმოქმედ გავლენაზე ავადმყოფებზე. მე პირადათ ეს წყლები არ მინახავს და ამიტომ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი და სახალხო ჯანმრთელობის ორგანოები ასეთ წვრილმან რამეებს ყურადღებას როდი აქცევენ, მათ მხოლოდ წარმომადგენლობა აინტერესებთ. ამას მე იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველებს რაც შეიძლება ნათლად დავანახვოთ, თუ რამდენი რა გვაქვს გასაკეთებელი და მოსაწყობი.

როცა რაჭიდან ვბრუნდებოდით, გზაზე ამხ. დ. ლორთქიფანიძემ წინადადება მომცა წყალტუპო მენახა. პირველათ ამ წინადადებას მე უგულოთ შევხვდი. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი. წარმოიდგინეთ ასეთი გარემოება: წყალტუპო მდებარეობს ქუთაისიდან დაახლოვებით 9—10 ვერსის მანძილზე. ქუთაისში ხშირათ და ხანგრძლივათაც მიცხოვრია, მაგრამ ერთხელაც არ მქონებია შემთხვევა და არც მომინდომებია წყალტუპოს აბანოს დათვალიერება. აბა ვის სცხელოდა ამისთვის იმ დროს! თუმც მე ვიჩქაროდი ტფილისში წამოსასვლელათ და დაღლილიც ვიყავი, მაგრამ გადავსწყვიტე ამ ხანათ მაინც წყალტუპოს დათვალიერება. ექვს სექტემბერს, საღამოს ხუთ საათზე მე, ს. თოდრია და დ. ლორთქიფანიძე ცხენებით წავედით წყალტუპოს. როგორც ამბობენ, ქუთაისიდან წყალტუპომდე 9 ვერსია. სამწუხაროთ, ეს გზა ჯერ კიდევ გაკეთებული არაა; კარგს დარში ფაიტონი დიდი გაჭირვებით თუ გაივლის, ავტომობილზე ლაპარაკიც არ შეიძლება. წყალტუპო—ეს ხომ ახალი გამოგონილი კურორტი არაა, ის შექმნილია თვით ხალხის მიერ და ყოველ წლივ მას ათასობით და ათიათასობით აწყდება გაჭირვებული და დაავადმყოფებული ხალხი, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკნი, და მეტათ სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქუთაისიდან იქ ხეირიანი გზა დღემდის ვერ გაუკეთებიათ. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გზადაგზა ჩვენ გვხვდებოდენ ურმები, წყალტუპოში მიმავალნი, რომლებშიაც ავადმყოფი ქალები და მამაკაცები იწვენ თუ ისხდნენ. სანამ თვით წყალტუპოს აბანოს შევეხებოდე, მე მინდა რამდენიმე სიტყვით უფრო სისწორით განვსაზღვრო ამ აბანოს ადგილ-მდებარეობა.

წყალტუპო მდებარეობს ქუთაისიდან დასავლეთ-ჩრდილოეთით. ირგვლივ სულ დასახლებული ადგილებია, თვით წყალტუპო საკმარისათ მოზრდილი სოფელია. გარდა ქუთაისიდან მიმავალი გზისა, მას აქვს კიდევ სხვა გზებიც, მაგ. ხონიდან (12 ვერ.), სამეგრელოდან, ლეჩხუმიდან და სხვ. ერთი სიტყვით ის მდებარეობს დასახლებულ ადგილების შუაგულში. თვით ეს ადგილი მდიდარია სანოვაგით და სურსათით, და ამიტომაც არის, რომ ის უთვალავი ავადმყოფები, რომლებიც აქ მოდიან, ამ მხრივ არავითარ გაჭირვებას არ განიცდიან; ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ავადმყოფთათვის, ისე თვით წყალტუპოს, როგორც აბანოს, ბედ-იღბალზე.

წყალტუპოს ადგილ-მდებარეობის დასახასიათებლათ უნდა ითქვას აგრეთვე ის, რომ ის მდებარეობს სრულიად გაშლილ და სწორ ადგილას და ცოტა არ იყოს დაბლობში. ცნობილია, რომ წყალტუპო ციებიანი ადგილია. ეს მართალია, თუმც არც იმდენათ, როგორც ეს ბევრს ჰგონია, და გარდა ამისა, თუნდაც ეს ასე იყოს, ამის წინააღმდეგ ზომების მიღება ადვილია.

მაგრამ გადავიდეთ თვით წყალტუპოს აბანოზე, წყალტუპოს წყლებზე. აი, ჩვენ უკვე მივედით იქ. საჩქაროთ ჩამოვხტით ცხენებიდან და პირდაპირ გავეშურეთ იქით, სადაც თვით აბანოებია, სადაც გამოდის მიწიდან თვით ეს სამკურნალო წყალი. აქა-იქ მოსჩანან მსუბუქის ხის შენობები. ჩვენ გაგვიღეს კარი ერთი ასეთი შენობისა და ჩვენ თვალწინ უეცრივ გამოჩნდა საკმარისათ მოზრდილი აუზი, რომლის ირგვლივ გაწოლილი ჰყრიან ავადმყოფები; აუზს ხელოვნური არაფერი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ის ირგვლივ შემოღობილია ფიცრით და ფიცრითვე გადახურული. ცხელი წყალი (34° რეომიურით) პირდაპირ ამოჩუხჩუხებს მიწიდან; არც მილი, არც სხვა რამე. ასეთი შენობებია ხუთამდე, ყოველგან ერთნაირი სურათი. ავადმყოფები რჩებიან აუზში ნახევარ საათამდე, ასეთია აქ პრაქტიკა. ისინი, ვინც ვერ ახერხებს ბილეთის შეძენას და ვერ ითმენს შეუსვლელობას შენობაში, გაწოლილან იქ, სადაც ნახმარი წყალი გამოდის აუზიდან.

გარდა ამისა არის ერთი პატარა აუზი, საიდანაც სასმელ წყალს იღებენ, რაც კუჭის ტკივილს შველის; არის აუზი აგრეთვე, საიდანაც განსაკუთრებით იღებენ თავის საბან წყალს, რაც თავის ტკივილს უხდება; საერთოდ კი წყალტუპოს აბანო არჩენს იშიასს, ყოველგვარ რევმატიულ (ქარები) ტკივილებს დედაკაცურ ავადმყოფობათ და სხვ. თვით ექიმების სიტყვით, წყალტუპოს აბანო პირდაპირ სასწაულს ახდენსო. მოყავთ კუტები ურმებით, რომლებიც ფეხზე ვერ დგებიან, და აქ იწყებენ სიარულს. წყალტუპოს აწყდება აუარება ხალხი, ნამეტურ გლეხკაცობა მთელი დასავლეთ საქართველოდან, უფრო კი იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან. მოდიან პირდაპირ ურმებით, და რჩებიან წყალტუპოში დიდი ვაი-ვაგლახით ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. იმ დღეს, როცა ჩვენ მოგვიხდა წყალტუპოში ყოფნა, იქ აუარება ხალხი იყო. ბევრს თავშესაფარი არ ჰქონდა, და იძულებული იყვნენ ცის ქვეშ მოეკალათებინათ. რა გასაკვირალია, თუ ისინი გაცივდებიან და ციებ-ცხელებით ავად გახდებიან.

ბოლოს ჩვენ დავათვალიერეთ კიდევ ერთი საბანაო ადგილი, სადაც გამოდის უდიდესი ცხელი წყლის ნაკადი, რომელიც ერთ დიდ წისქვილს ატრიალებს.

წყალტუპოს წყლის მთელი დებიტი სისწორით არ არის გამორკვეული. ამბობენ, რომ დაახლოვებით დღე-ღამეში ეს უდრის 5 მილ. ვედროს. ამოდენა საბანაო ცხელი წყალი იშვიათია არა თუ ჩვენში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზე. წყალტუპოს აბანოს საკმარისათ დიდი რადიო-აქტივობა უკვე დამტკიცებულია, მისი ანალიზი და თვისებაც ბევრს აქვს გამოკვლეული; მე ამ საკითხს არ ვეხები, მით უფრო ეს ჩემ კომპეტენციაში არ შედის.

მე მინდა ხაზი გაუსვა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვერ ვაფასებთ იმას, თუ რას წარმოადგენს ხალხისთვის წყალტუპო. სხვათა შორის, იქ ყოფნის დროს, მე გავიგე შემდეგი. იმპერიალისტური ომის დაწყებამდე უცხოელ კაპიტალისტების ერთ ჯგუფს ჰქონებოდა მოლაპარაკება წყალტუპოს მაშინდელ მფლობელებთან—იოსელიანებთან ამ აბანოს შეძენის თაობაზე, უცხოელ კაპიტალისტებს უძლევიათ იოსელიანებისთვის 12—15 მილ. მან. ოქროთი, მაგრამ ვერ მორიგებულან. გარდა იმისა, 1916 წელს მეფის მთავრობას გადაუწყვეტია წყალტუპოში კურორტის გაკეთება, სადაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო 2000—3000 დაჭრილ-დასახიჩრებულ ჯარისკაცის მოთავსება. ეს ჩაშლილია მაშინდელი ტფილისის ქალაქის მოურავის—ხატისოვის რჩევით, რომელსაც მთავრობისთვის ურჩევია: რა საჭიროა წყალტუპოში ასეთი ხარჯების გაწევა, როცა ტფილისში მოგვეპოვება საუკეთესო აბანოებიო.

ეს ფაქტები მოწმობენ, თუ რა დიდი ღირსებისაა წყალტუპოს აბანო. განა უცხოელ კაპიტალისტებს რაში მოეპრიანებოდათ მისი შეძენა 12—15 მილ. მან. ოქროთი; და არც ნიკოლოზ რომანოვის მთავრობა განიზრახავდა იქ დიდი კურორტის აგებას, თუ რომ წინდაწინ არ სცოდნოდათ მისი ფასი.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ახლა სინამდვილეში?

ჩვენ ვიცით, რომ **აბასთუმანი და ბორჯომი** წამოიწყეს და გააკეთეს წარჩინებულმა მოხელეებმა (მეფის ბიუროკრატიამ), მდიდარმა ბურჟუაზიამ და მემამულეებმა. ეს კურორტები არსებობდენ მარტო მდიდრებისთვის, მარტო შეძლებულთათვის, გარდა იმისა, რომ იქ ქვეყნის მყვლეფლები და მძარცველები თავს ირჩენდენ.

ისინი იქ კიდევ ერთობოდენ და გარყვნილებაში ატარებდენ დროს. თავის თავად იგულისხმება, რომ მშრომელი მასისთვის აბასთუმანი და ბორჯომი სრულიად მიუწვდომელი იყვენ. ამავე დროს მშრომელი მასა, ხალხი ჰქმნიდა თავის საკუთარ კურორტების, როგორიც არის, მაგ., წყალტუპო, ბახმარო და სხვ. მაგრამ მაშინდელი მთავრობა, რა თქმა უნდა, ასეთ კურორტებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ისინი სრულებით უყურადღებოთ იყვენ დატოვებული. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ამ მართლაც სახალხო კურორტების მოწყობა. ჯერ-ჯერობით მთავარი ყურადღება მიქცეული იქნა ისევ იმავე ბორჯომ-აბასთუმანის ალდგენაზე. მართალია, იქ ახლა თქვენ ვეღარ შეხვდებით წინანდელ „ბრწყინვალე“ საზოგადოებას; იმის მაგიერ იქ ახლა იგზავნებიან დაავადმყოფებულნი მუშები და გლეხები სამუშაო დარგიდან და მიწიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ბორჯომი, ისე აბასთუმანი ხალხის უმრავლესობისთვის დღესაც ხელმიუწვდომელია, და გარდა ამისა ისინი უფრო დასასვენებელ ადგილებათ ითვლებიან ვინაიდან იქ კარგი ჰავაცაა და ზაფხულობით კიდევ სიგრილე. საერთოდ საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს ზომებს, რომ ბორჯომი და აბასთუმანი სახალხო კურორტებათ გადააქციოს, რადგანაც იმათ რამდენიმეთ დღემდისაც შენარჩუნებული აქვთ თავისი ძველებური ხასიათი.

ამით მე იმის თქმა მინდა, რომ წყალტუპოსადმი ჩვენი დამოკიდებულება ახლავე ძალიანად უნდა შეიცვალოს. რას წარმოადგენს დღევანდელი წყობილება? იმას, რომ ბუნება იძლევა ყველაფერს, ადამიანი კი არაფერს. აი ორი სიტყვით წყალტუპოს დღევანდელი მდგომარეობა. ეს დაუშვებელია, ეს შეიძლება ითქვას დანაშაულია იმ ღარიბ-ღატაკი ხალხის წინაშე, რომელიც წყალტუპოს აწყდება განსაკურნებლად და რომელიც ვერ შოულობს იქ თავშესაფარს, და თუ შოულობს—უვარგისს, რომელიც მოუწყობლობის გამო ვერ ახერხებს ამ შესანიშნავი, თითქმის სასწაულ-მომქმედი წყლით სარგებლობას. ვინაა აქ დამნაშავე? ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები, თუ სხვა ვინმე? აქ მე არ გამოუდგები დამნაშავეების ძებნას. სიმართლე თხოულობს მაინც განვაცხადოთ, რომ წლევანდელ სეზონში წყალტუპოს თითქო დასტყობია ადამიანის ხელი. შედარებით მცირე სახსრით იქ უცდიათ საქმე როგორმე ფეხზე დაეყენებიათ, და ამ ცდას არ ჩაუვლია სულ უნაყოფოდ. მაგრამ ეს ის არაა, რაც უნდა იყოს ან რაც უნდა გაკეთდეს, რათაც უნდა გადაიქცეს წყალტუპო. ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერი, რაც აქამდის გაკეთებულა იქ, უთუოდ უნდა მოიშალოს, და გაკეთდეს ისე, როგორც ამას თხოულობს დღევანდელი სამკურნალო ტეხნიკა. ეს საქმე უნდა იდვას თავის თავზე საბჭოთა ხელისუფლებამ.

საყვედურის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვინც იცოდა წყალტუპოს თვისება და ღირსება და ხმამაღლა არ იძახოდენ ამაზე, არ ყვიროდენ საქვეყნოდ წყალტუპოს გაკეთების თაობაზე. ჩვენ ამაზე გვეტყვიან, რომ მერე რა გამოვიდოდა ჩვენი ყვირილიდან და ძახილიდანო. გამოვიდოდა ის, რომ რამოდენიმედ მაინც მიექცეოდა ყურადღება წყალტუპოს, და განა ცოტა თანხა იქნა ამ ხნის განმავლობაში ჩაყრილი აბასთუმანის და ბორჯომის კურორტებში? მაგრამ რაც იყო, იყო, იმას ვეღარ შევცვლით. მხოლოდ დღეიდან ჩვენ წინაშე დგას სხვათაშორის ერთი ახალი პრობლემა,—**ეს წყალტუპოში დიდი კურორტის შექმნა, მასთან ნამდვილი სახალხო კურორტის**, რომლის ბადალი არაფერი იქნება მთელ საბჭოთა ფედერაციაში. ყველა კურორტებში წყალტუპო პირველ რიგში უნდა იქნას ჩაყენებული. გვეტყვიან: მუშურ-გლეხური მთავრობა დღეს ისე ღარიბია, რომ ის ამას თავისი საკუთარი ძალებით ვერ შესძლებსო. მაგრამ ეს სრულებით იმის საბუთი არაა, რომ ასეთი ლოზუნგი ჩვენ არ წამოვაყენოთ ახლავე, ეს ერთი. მეორეც ის, რომ მთავრობას შეუძლია შექმნას ამისათვის განსაკუთრებული საქციონერო საზოგადოება შერეული ტიპისა ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ წყალტუპოს კურორტი უნდა გაკეთდეს, რაც ის არ უნდა დაგვიჯდეს, რადგანაც ამას თხოულობს ხალხის ინტერესები. ერთი ფაქტი კიდევ წყალტუპოს სასარგებლოთ. აბასთუმანის აბანოს ერთი მთავარი წყაროს—„ბომატირის“—დებეტი უდრის 78,000 ვედროს დღე-ღამეში. წყალტუპოს აბანო კი იძლევა დღე-ღამეში, სულ რომ ნაკლები ვიანგარიშოთ **5 მილ ვედრო წყალს.** ამოდენა სიმდიდრე უნაყოფოთ იკარგება. ამას ბოლო უნდა მოეღოს. რაც დრო გამოვუშვით, ისიც კმარა.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 218.

„ახალგაზრდა მარქსისტების“ ჯგუფს მოწოდება

სტუდენტ—„ახალგაზრდა მარქსისტებისადმი“

დღეს ჩვენ შესანიშნავ მოვლენის წინაშე ვდგევართ:

ყოფ. მენშევიკური პარტიის მიმდევარი მუშათა მასა, პროლეტარულ ბრძოლის პრინციპების თანახმად ამოძრავებული, დაუკავშირდა მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს. უდავოა რომ ჩვენი სტუდენტ—„ახალგაზრდა მარქსისტები“ ღრმა სიდინჯით შეხვდებიან ამ ისტორიულ მოვლენას და დღემდის არსებული ეჭვი, გაუბედაობა, გაურკვევლობა საბოლოოდ განთავისუფლდება იმ ბურუსიდან, რომელიც ეგრედ წოდებულ „დემოკრატიზმისაგან“ ისტორიულად ნაანდერძევი იყო. ძირითადი სოციალური პრობლემა, რომელსაც პოლიტიკურ მოღვაწეების წინაშე საქართველოს სინამდვილე სვამდა, დღეს გადაჭრილია. ვინც ჭეშმარიტ მარქსიზმის რევოლიუციონურ იდეალს სწორედ ფლობს, ვინც დღევანდელ სინამდვილეს პროლეტარულ თვალსაზრისით ზომავს, ის აუცილებლად გადავა ერთად ერთ გზაზე, რომელზეც მხოლოდ შესაძლებელია პროლეტარულ საქმის სამსახური. დანარჩენის ხვედრი იქნება სრული უნიადაგობა, რევოლიუციონურ შემოქმედების გარეშე დგომა, პასივობა ან პროლეტარიატისადმი აშკარა მტრობა.

ახალგაზრდა მარქსისტებო! მართალია გამარჯვებულთან მისვლა სექტანტური ჯიბიანობის თვალსაზრისით თავმოყვარეობის შელახვაა—მაგრამ სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს შემომტევ კაპიტალიზმის წინააღმდეგ გამოსასვლელად საჭიროა პროლეტარიატის ბრძოლის უნარიანობის უმაღლეს წერტილამდე აყვანა.

დღევანდელი მოვლენები, რომელიც ხდება ჩვენს ცხოვრებაში, არის პროცესი „მშრომელი ხალხის“ წმინდა პროლეტარულ ბრძოლის ნორმების თანახმად აღზრდისა, უკეთ რომ ვსთქვათ, ეს არის მასის მებრძოლ კლასად გარდაქმნა, სადაც კლასიურ შეგნების სრული გამორკვევა უდიდესი საქმეა, თუ დღევანდელი პროლეტარულ სახელმწიფოებრივი ნორმები, ყველასათვის ერთგვარად მისაღები არ არის, ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი კლასიურ ნიადაგზედ არიან ისინი ნაშენები და პროცესი იძულებისა ანტიპროლეტარულ წრეთა მიმართ მანამ იწარმოებს შეუდრეკლობით, სანამ რევოლიუცია საბოლოოთ არ მოსპობს კაპიტალისტურ რეჟიმს. ეს ახალი პირობები ძალიან ბევრს სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. რევოლიუციონურ მარქსისტთა ენერგიის პროლეტარულ შემოქმედების გზით ამუშავება—ეს დიდი ფაქტორი იქნება,—იმ წესწყობილების განმტკიცებისათვის, რომელიც არსებობს და ვითარდება. პირველი ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრას დღეს საღმა ნაწილმა ახალგაზდობისამ და განსაკუთრებით რევოლიუციონურ სტუდენტობამ, არის იდეოლოგიური ფრონტის გამაგრება. ვინც ამ ფრონტზე მუშაობას შესძლებს პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით —ის ჭეშმარიტი მარქსისტია.

ძირს ტრადიციული „დემოკრატიული“ იდეოლოგია.

ძირს იდილიურ-დემოკრატიული პოლიტიკა და დათმობა მოწინააღმდეგე კლასების მიმართ.

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს ახალგაზრდა მარქსისტ სტუდენტთა თანამშრომლობას კომკავშირთან!

ყოფილ სტუდენტ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სალიკვიდაციო საინიციატივო ბიურო.

წევრები 1. ვ. ხავთასი
2. ალ. ცინცაძე
3. ვ. ცერცვაძე
4. ხ. მეგრელიშვილი
5. ალ. პაიჭაძე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა

უპარტიო კონფერენცია.

ქობულეთი. 21 სექტემბერი. ქობულეთში დამთავრდა უპარტიო კონფერენციის მუშაობა.

სასაკლაო.

ქობულეთი. 21 სექტემბერი. ქობულეთის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მიეცეს მას 800 ბეტონის პლიტა ქობულეთში სასაკლაოს მოსაწყობათ.

ხიდების შეკეთება.

ქობულეთი. 21 სექტემბერი. ქობულეთის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა, რათა მის განკარგულებაში დაინიშნოს ინჟინერი მდინარე აჭყვაზე ხიდის გასაყვანათ და სხვა ხიდების შესაკეთებლათ.

აზერბეიჯანი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 21 სექტემბერი. სექტემბრის 15—16 ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოუღიათ სულ 1.225,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მიუშვიათ 765,000 ფუთი. საქაჩავიდან დაბრუნებულა 759,000 ფუთი. დაწმენდილა 73,000 ფუთი. ბურღვაში ყოფილა 168 დაზგა. ჩაუბურღიათ 172 საჟენი.

სომხეთი.

სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია.

ერევანი. 21 სექტემბერი. სექტემბრის 21-ს გაიხსნა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია.

„26“-ის ძეგლი.

ერევანი. 21 სექტემბერი. ლორის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქ ჯელალ-ოღლის ბაღში სტეფანე შაუმიანის ძეგლი დადგას და თვითონ ქალაქს ჯელალ-ოღლის უწოდოს სახელად ქალაქი სტეპანოვანი.

ერევანი. 21 სექტემბერი. „26 კომუნართა“ დღე გლოვის დღედ გამოცხადდა. ყველა დაწესებულება და საწარმოვო დაიკეტა, ქალაქი ბაირაღებით შეიმკო.

სექტემბრის 19—20-ს ქალაქის თეატრებში და კლუბებში ლექციები მოეწყო. სექტემბრის 20-ს საზეიმო სხდომა მოხდა პარტიისა, პროფკავშირებისა, ქალაქის საბჭოსი და სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიის წევრებისა. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანმა იოანიანმა დაახასიათა 1917—18 წლების ხანა და ბაქოს კომუნის მნიშვნელობა რევოლიუციის ისტორიაში. ამხ. მირაქიანმა და მრავიანმა თავთავისი პირადი მოგონებანი გაუზიარეს დამსწრეთ დაღუპულ კომუნართა შესახებ. და ბოლოს დაადგინეს, დეპეშა გაეგზავნოს ბაქოს ქალაქის საბჭოს. სომხეთის ყველა კუთხეებიდან ცნობები მოდის 26 კომუნარის ხსოვნის აღნიშვნისა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(24 სექტემბერი).

ჩერვონცები	48,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	45,300
ჩეკები	42,000
დოლარები ეფექტ.	9,850
„ ჩეკები	9,150
ოსმ. ქალ. ლირა	6.200
იტალიური ლირა	315
ფრანგული ფრანკი	455
საბჭ. ფულის ნიშნები	16 ნახ.

მუშკოპის ფასები.

(24 სექტემბერი).

პური 1 ხარ.	300-ათ.
პური 2 ხარ.	180
შაქარი რაფინადი	2,460
ფხვნილი შაქარი	2075
ძროხის ხორცი	1 მილ.
ალდაშის ბრინჯი	530
მაკარონი	775
კარტოფილი	120

ტფილისის ბაზრის ფასები.

(22 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. გირ.	350
პური 2 ხარ. გირ.	200
ძროხის ხორცი	1100
ცხვრის ხორცი	1500
ბრინჯი გირ.	600
მაკარონი	800
კარტოფილი	125 -150
შაქარი — რაფ.	2450—2600
ფხვნილი შაქარი	2200

ბირჟის მოწოდება:

(24 სექტემბერს)

საწერი ქაღალდი, კარდონი, თოკები, სკიპიდარი, ტომრები, ფხვნილი შაქარი რუსეთ. ფანერა კაკლის ხისა, მუხისა და სხვ. ფქვილი მაკარონი და ვერმიშელი, რკინეულობა, საზღვარგარეთის ფეხსაცმელი, მზესუმზირას ზეთი, ფანჯრის მინები, ბოთლები, ასანთი რუსეთ. საპონი 1 ხარისხ. „პეტუხ“, მარილი ნახიჩევანის. ბორჯომის კანიფოლი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(24 სექტემბერს)

ელექტრონის სამპიონები, შუშა, გოგირდი „ბუდა“ ასანთი რუს. სამუშაო ფეხსაცმელი უმაღლეს ხარისხისა, რკინეულობა, რუსეთის მანუფაქტურა, საპონი „ბაბიტ“, ჩაი ცეილონის, ნედლი ტყავი, პორტლანდის ცემენტი, ტომრები ყუბანის ხორბალი, კანიფოლი, ქერი, მზესუმზირას ზეთი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება 24 სექტემბერს მტკიცეა.

ოფიციალური გარიგებანი.

(24 სექტემბერს)

მატყლი გაზაფხულის, წმინდა და მშრალი 17 მან. ჩერვ. ფუთი, ფრანკო—სოფ. უჯარი.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცებზე დღეს დიდი მოთხოვნილებაა, დანარჩენ ვალიუტაზე მოთხოვნილება სუსტია. საბჭ. ფულის ნიშნების ფასმა ცოტად იმატა.

კოოპერაცია

ს. ზემო-გომი

16 ენკენისთვეს ს. ზემო-გომში მოხდა გომის რაიონის მთლიან მომხმარებელ საზოგადოების (ეპოს) დასაარსებლად რწმუნებულთა ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 98 წევრმა. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნენ შრომის კომისარი ამხ. ლადო დუმბაძე და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მალაქია ტოროშელიძე. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ—ცეკავშირის და საერთაშორისო კოოპერატიულ კონფერენციაზედ ქ. პრაგაში საქართველოს ცენტრ. კოოპერატ. კავშირის წარმომადგენელს ამხ. ტოროშელიძეს. ამ დეპეშის შინაარსი ასეთია: „გომის რაიონის მთლიან მომხმ. საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის წარმომადგენელს პრაგაში ამხ. ტოროშელიძეს და უსურვებს საერთაშორისო კოოპერაციის კონფერენციის მიზნის განხორციელებას, როგორც საქართველოს, აგრეთვე მთელი ქვეყნის მშრომელთა სასარგებლოდ.“

განსახილველი საკითხები იყო: 1. კავშირის გამგეობის ინფორმაციული მოხსენება; 2. მ. მ. ს-ს რაიონის შემოფარგვლა; 3. განყოფილებების დაარსება; 4. საწევრო გადასახადის განსაზღვრა; 5. წესდების განხილვა, დამტკიცება; 6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 7. მიმდინარე საკითხები:

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. რუხაძემ. ყრილობამ მიიღო მოხსენება მხედველობაში. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ცეკავშირის ინსტრუქტორმა ამხ. კალმახელიძემ ყრილობამ გომის მთლ. მომხ. ს-ს სამოქალაქო რაიონი შემოფარგლა სადგურ გომის ცენტრად დამტკიცებით და განყოფილებების შემდეგ პუნქტებზედ დაარსებით: 1. სოფ. გომი, 2. მოხისი, 3. ავლევი, 4. ალი, 5. დირბი, 6. საღოლაშენი, 7. რუისი, 8. ქარელი, 9. ზღუდერი, 10. წრომი 11. დვანი, 12. ხვითი. ამათგან 6 განყოფილება უკვე დაარსებულია, მხოლოდ დანარჩენი 6-ც ახლო მომავალში დაიწყებენ მოქმედებას.

საწევრო გადასახადის რაოდენობა განისაზღვრა ჩერვონეცის ორ მანეთით კომლზედ მისი შეგროვების წესი შემდეგნაირია: მოსახლეობა ნაწილდება სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიის მცხოვრებნი—შეძლებულნი საწევრო გადასახადს იხდიან მთლიანად, წევრად ჩაწერისთანავე, მეორე კატეგორიის—საშუალო შეძლების-ერთ მანეთს ჩაწერისთანავე, ხოლო მეორე მანეთს სამი თვის განმავლობაში. მესამე კატეგორიის მცხოვრებნი—ღარიბნი არ იხდიან საწევრო გადასახადს, წევრების სრული უფლებით კი შეუზღუდველად სარგებლობენ. მათი საწევრო გადასახადი დაიფარება მოგებიდან წლის ბოლოს და ამნაირად ყველანი თანასწორდებიან საწევრო გადასახადში.

წესდება განიხილეს და უკამათოდ ერთხმად დაამტკიცეს, რის შემდეგაც აირჩიეს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები.

გამგეობაში: 1. იოსებ რუხაძე, 2. ირაკლი კალატოზიშვილი და 3. ივანე თაქთაქიშვილი. მათ კანდიდატებათ 1. იოსებ ჩიტიაშვილი და 2. იოსებ მახარაშვილი.

სარევიზიო კომისიაში: 1. გიორგი კალმახელიძე, 2. ალექსანდრე კალანდარაშვილი, 3: გიორგი ზეინკლიშვილი, 4. გოგოლაძე ლავრენტი, 5. კოტე კვარიანთაშვილი; კანდიდატებად: 1. ჩიქოვანი ვლადიმერი და 2. წარიაშვილი ისაკ.

შემდეგ ყრილობამ განიხილა ეკატერინოსლავის პოლიტეხნიკუმის სტუდენტის ამხ. ჯანჯღავას განცხადება სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. მას დაენიშნა თვიურად 20 ჩერვონეცის მანეთ.

ყრილობა დაიხურა ინტერნაციონალით და რწმუნებულებიც ძალზედ დაიმედებულნი და კმაყოფილნი თავიანთ ნამუშევარით წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სოფლებში.

6. საერთო შთაბეჭდილებანი მოგზაურობიდან დასკვნა.

როცა ახლო ეცნობი პროვინციის ცხოვრებას, ერთ საერთო შთაბეჭდილებას მიიღებ,—ეს ის, რომ პროვინციის საჭიროებას და მოთხოვნებს ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას ცენტრიდან. ავიღოთ მაგალითისთვის თუნდაც ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოება. ვის არ გაეგონება ტყიბულის მაღაროები. ამ ჩვენ ღარიბ და ჩამორჩენილ ქვეყანაში ტყიბულის წარმოებას ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სამწუხაროთ, მისი განვითარება და წარმატება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ფერხდება, ამ საქმეს ხელს უშლიან. როგორც ვიცით, სწორედ ამ ქვა-ნახშირის ტყიბულიდან გამოსაზიდავათ არის გაკეთებული რკინის გზის ტყიბულის შტო. მაგრამ ამ დანიშნულებას ეს შტო ვერ ასრულებს. ჯერ იყო და ისეთი ტარიფი იყო დაწესებული ქვა-ნახშირზე, რომ რკინის გზით მისი გადატანა ტყიბულიდან პირდაპირ შეუძლებელი შეიქნა, და წარმოება აუცილებლათ უნდა მომკვდარიყო. წარმოების თითოეული ცენტრი დღეს იმავე დროს კულტურული ცენტრიცაა. აქედან თქვენ წარმოიდგენთ, თუ რა იქნებოდა ტყიბულში ქვა-ნახშირის წარმოების შეჩერება. შემდეგ ეს ტარიფი რამდენიმეთ შეიცვალა, მაგრამ ახლა სხვა დაბრკოლება გაჩნდა. ტყიბულში ახლა მუშაობს ორი მაღარო: ახალი და ძველი. ძველში მუშაობა უნდა შეწყდეს ამ ცოტა ხანში სავსებით; ჩვენი იქ ყოფნის დროს მუშაობა უკვე სანახევროთ შეჩერებული იყო. ამ შეჩერების მიზეზი არის ის, რომ მაღაროსა და სადგ. ტყიბულას შორის რკინის გზის ხიდი 2-3 თვეა რაც წაღებულია, და მის აკეთებაზე აქამდის არავის უფიქრია. მაშასადამე ნახშირის გამოტანა შეჩერებულია და რაც დამზადებულია, ისიც კი ფუჭდება. კარგი კიდევ, რომ ეს გარემოება თავისი თვალით ნახა რკინის გზის უფროსმა ამხ. პოზდეევმა, და უნდა ვიფიქროთ, ახლო მომავალში ეს ხიდი გაკეთებული იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში იქ მუშაობა აუცილებლათ უნდა შეჩერდეს, და მაშასადამე 500-600 მუშა უმუშაოთ უნდა დარჩეს.

სამწუხაროთ დიდი წვიმის გამო ჩვენ ვერ მოვასწარით ორივე მაღაროს დათვალიერება. რამდენიმეთ დავათვალიერეთ მხოლოდ ძველი მაღარო; ახალი მაღარო კი, სადაც, როგორც გადმოგვცეს, საქმე დაყენებულია თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილების თანახმათ, ჩვენ ველარ ვნახეთ. ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: ქვა-ნახშირის წარმოება ტყიბულში უნდა გადიდდეს, ყველა პირობები ამისთვის არსებობს, მხოლოდ ხელოვნურათ შექმნილი დაბრკოლებები უშლიან ამას ხელს. არ შემიძლია არ აღვნიშნო აქვე, რომ როგორც მუშებმა, ისე ადმინისტრაციამ და სპეცებმა საერთოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩვენზე. უმთავრესი საჩივარი მუშების მხრივ—ეს ბინების უვარგისობა ან სრული უქონლობაა. ამ ნაკლის თავიდან მოშორება იქ, ჩემის აზრით, არც დიდათ საძნელოა, რადგანაც ადგილობრივ მოიპოვება ყოველგვარი საშენი მასალა (ქვა, კირი, ხე-ტყე), და ამას ესაჭიროება მხოლოდ ცოტაოდენი სახსარი და ყურადღების მიქცევა და საქმე უთუოდ მოეწყობა. მაგრამ ყოველივე დამოკიდებულია თვით ქვა-ნახშირის წარმოების ბედზე. შედარებით კარგათაა იქ მოწყობილი საავადმყოფო და აფთიაქი. რაჭის მაზრა, და ალბათ ლეჩხუმის მაზრაშიაც, სადაც, სამწუხაროთ, მე ველარ მოვახერხე გაჩერება, საბჭოთა აღმშენებლობას ფართოთ ვერ გაუშლია ფრთები, ვერ შეუქმნია ფართო ნიადაგი. მართალია, გზების და ხიდების მხრივ რაჭაში ბევრია გაკეთებული ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ დანარჩენ დარგებში ეს აღმშენებლობა საკმარისათ მოიკოჭლებს. ასე, მაგ., კოოპერაცია ან ძალზე სუსტია, ან სრულებით არ არსებობს. ასევე ითქმის სკოლაზე. რაც შეეხება აგრონომიულ დახმარებას, იმის კვალს თქვენ ვერ იპოვნით ვერსად. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. რაც შეეხება ჯანმრთელობისკომისარიატის ადგილობრივ დაწესებულებებს, ისინი მეტათ არასანატრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, და გლეხკაცობა თითქმის მოკლებულია საშუალებას წამლის შეძენისა. ამ მხრივაც რაიმე ზომები უნდა იქნან აუცილებლათ მიღებული და ეს უნდა დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. დეე, ამათ რამდენიმეთ თავის დანიშნულებაზედაც იფიქრონ!

ახლა უკვე არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ გლეხკაცობის ჭკუა-გონებაში და სულსა და გულში საბჭოთა ხელისუფლებას მოპოებული აქვს ნდობა და პატივისცემა. გლეხი გრძნობს, რომ ეს ხელისუფლება სწორედ მისი ინტერესების დამცველია. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს თქვენზე გლეხებთან საუბარი როგორც მიტინგებზე, ისე კერძო ლაპარაკის დროსაც. მაგრამ ამ მხრივ საქმეს აფერხებს და ვნებს ზოგიერთ გამოუცდელ ამხანაგების შეუფერებელი მიდგომა მძიმე და საყურადღებო კითხვების გადაჭრის დროს ერთი მხრივ და უხეში და შეუსაბამო მოქმედება მთავრობის ზოგიერთ აგენტების—მეორე მხრით. გარდა ამისა როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ აპარატს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რის გამოსასწორებლათ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო.

მაგრამ როგორ უნდა სწარმოებდეს ეს მუშაობა? ჩემის აზრით, აქ საჭიროა ახალი ზომების გამონახვა. საქმე იმაშია, რომ ადამიანი უმეტეს შემთხვევაში თავის ნაკლს თითონ ვერ ამჩნევს. იგი დარწმუნებულია, რომ კარგათ იქცევა. არიან, რა თქმა უნდა, ჯიუტი ადამიანები, რომელთაც თავისი შეცდომები არა სწამთ, ამის გაგონებაც კი იმათ არა სურთ და ვერც მოგისმენენ. ესენი, რა თქმა უნდა, ავადმყოფები არიან და ჩვენი ხელიდან წასული, როგორც იტყვიან ხოლმე. მაგრამ ასეთები ერთეულები არიან, ისინი გამონაკლისს შეადგენენ. უმეტესობა გულწრფელათ იცნობს თავის შეცდომას, თუ მართლა საქმიან მიდგომას დაინახავს. აი, რაზე ველაპარაკობ და რაზე მინდა მივუთითო ამხანაგებს. შეიძლება ეს თუ არა? არა თუ შეიძლება, არამედ ეს აუცილებლათ საჭიროა, თუ ჩვენ გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოვსპოთ ის ათასგვარი გაუგებრობანი, რომელთაც დღეს ადგილი აქვთ, უმეტეს ნაწილათ, პროვინციაში. ვინ არ იცის, რომ მათებს აქვთ თავისი საკუთარი საჭიროებანი, თავისი საკუთარი ტკივილები, რომელთაც ცენტრმა უთუოთ ანგარიში უნდა გაუწიოს. როგორ, რა ფორმით, რა პირობებში, ეს დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე. ასეთია ჩემი საერთო დასკვნა პროვინციის ცხოვრების დაკვირვებებიდან.

ფ. მახარაძე.

18 სექტემბერი. 23 წ.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობებით)

საერთო სურათი

აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დამთავრებულია მთელი წინასწარი მუშაობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრების დასაწყებად. ორ რაიონში—სამხრეთ-ოსეთში და სიღნაღის მაზრაში—თვით გადასახადის ფაქტიური აკრებაც დაიწყო. დანარჩენ მაზრებშიაც გადამხდელთ შეწერილობით ფურცლებს აზარიებენ და გადასახადის აკრება დღე-დღეზე დაიწყება.

ზოგიერთ ადგილებში ეს ფურცლებიც უკვე დარიგებულია და მხოლოდ ცენტრის განკარგულებას უცდიან.

ფუთ ხორბლის ფულადი ეკვივალენტი უკვე გამორკვეულია და ადგილებში დაგზავნილია სახელმძღვანელოდ. ეკვივალენტები დროგამოშვებით შეცვლილ იქმნა, თანახმად ადგილებიდან მიღებულ ცნობებისა ხორბლის საბაზრო ფასების შესახებ. ასეთი ცნობები ცენტრს ადგილებიდან ყოველ კვირა მოსდის.

საქართველოს რესპუბლიკანურმა საგადასახადო კომისიამ დამატებითი ცნობები შეაგროვა სტიქიურ უბედურებათა შესახებ, რომელიც რამოდენიმე მაზრას დაატყდა თავს და ამ ცნობების მიხედვით შესაძლებლად სცნო მოსავლიანობის ხარისხი შეუმციროს ხუთ მაზრას: ახალქალაქისას, ახალციხისას, გორისას, ბორჩალოსას და თელავისას. ეს დადგენილება უკვე დაამტკიცა მთავრობამ.

დასავლეთ საქართველოში საკმაოდ სწრაფად და ნორმალურად მიმდინარეობს საგადასახადო მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორები. ხშირი წვიმები და ნიაღვრები დასავლეთ საქართველოში წელს ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული, მაგრამ იმედია საგადასახადო მუშაობა ამით არ შეფერხდება და იგი თავის დროზე დასრულდება.

მდგომარეობა ცალკე მაზრებში

ახალციხის მაზრა. შეწერილობის ფურცლების ჩაბარება სექტემბრის 20-სათვის დასრულდა. რადგან მაზრაში ფულის ნიშნები ცოტაა და გადასახადი კი ფულად უნდა აიკრიბოს, მიღებულია ზომები შემსყიდველ აპარატის მოსაგვარებლად. ხორბლის საბაზრო ფასი სექტემბრის 15-სათვის 4,500,000 მან. იყო.

ახალქალაქის მაზრა. შეწერილობის ფურცლების დარიგება სექტემბრის 25-სათვის დასრულდება. გადასახადის აკრება ოქტომბრის 1-სათვის დაიწყება. სექტემბრის 15-სთვის ფუთ ხორბლის ფასი იყო 5,500,000 მან.

დუშეთის მაზრა. შეწერილობის ფურცლები ჩაბარებული აქვთ გადამხდელთ. უცდიან ცენტრის განკარგულებას გადასახადის დაწყების შესახებ

თიანეთის მაზრა. შეწერილობის ფურცლების ჩაბარება სექტემბრის 20-სათვის დასრულდა. გადასახადის აკრება ოქტომბრის 1-სათვის დაიწყება. სექტემბრის 16-სათვის ფუთ ხორბლის საბაზრო ფასი 3,000,000 მ. იყო.

ტფილისის მაზრა. გადამხდელთ შეწერილობის ფურცლები ურიგდებათ. გადასახადის აკრებაც ჩქარა დაიწყება.

ბორჩალოს მაზრა. გადასახადის აკრება ამ დღეებში დაიწყება. სექტემბრის 15-სათვის ფუთი ხორბალი ბაზარზე 7,000,000 მან. ფასობდა.

გორის მაზრა. შეწერილობის ფურცლები დარიგებულია. გადასახადის აკრება ჩქარა დაიწყება.

სამხრეთ-ოსეთი. გადასახადის აკრება დაწყებულია. უკანასკნელ ცნობებით აკრებილია: ხორბალი—668 ფუთი და ფულად—7,864,405,000 მან. სექტემბრის 15-სათვის ფუთ ხორბლის ფულად ეკვივალენტად სამხრეთ-ოსეთისათვის დაწესებულია 4,000,000 მან. გადასახადის აკრება დაწყებულია ორ თემში: ცხინვალისა და წუნარისაში.

შორაპნის მაზრა. სასოფლო სიები შედგენილია. სახნავსა და მსხვილფეხა საკლავ საქონელზე გადატანა დასრულებულია. მთაგორიან ადგილებში ქცევაზე მოსალოდნელია 35—40 ფუთი სიმინდი, ხოლო დაბლობ ადგილებში—75—80 ფ.

სენაკის მაზრა. სიების შედგენა დასრულებულია. აღნიშნულია 163 სოფელი, 26 ათას 373 კომლი, 46,619 დესეტინა 2,121 ოთხკუთ. საჟ. სახნავი, 900 საჟენი. სათიბი, 37 დეს. 880 საჟ. ბაღი და 197 დეს. 1097 ს. ვენახი, სულ გადატანით 46,062 დეს. 85 ს. სახნავი და 53,236-ნახ. სული საქონელი (გადატანით). მოსავალი დაახლოვებით შემდეგია მოსალოდნელი: ახალ-სენაკის თემში—60 ფუთი სიმინდი ქცევაზე, ბანძისაში—80 ფ., აბაშისაში—80 ფ., სალხინოსაში—60 ფ., და მარტვილისაში—60 ფ. უკანასკნელ ცნობებით, მაზრა ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი მოსავლიანობის მიხედვით: 1 კატეგორია—80—85 ფუთი, მე-2-ე კატეგორია—75 ფ., მე-3-ე 65 და მე-4—30 ფუთი.

რაჭა. სასოფლო სიებში მრავალი შეცდომა იქმნა აღმოჩენილი. მიღებულ იქმნა ზომები მის სასწრაფოდ შესასწორებლად. მუდმივმა წვიმებმა ცუდი პირობები შექმნა სასოფლო მეურნეობისათვის; მოსავალი მოსალოდნელია: მთაგორიან ადგილებში—35—40 ფუთი ქცევაზე, ხოლო დაბლობ ადგილებში—60—65 ფუთი, სექტემბრის 15-სათვის ფუთი სიმინდი ბაზარზე ფასობდა 2,300,000 მან.

ლეჩხუმის მაზრა. აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც რაჭაში. წვიმები ხშირია, და მოსავალი ნაკლები. დაბლობ ადგილებში მოსალოდნელია 60—65 ფ. სიმინდი ქცევაზე, ხოლო მთაგორიან ადგილებში—30—35 ფუთი. ლეჩხუმის მაზრის მოსახლეობა რაჭის მსგავსად შუამდგომლობს, რათა მათ გადასახადი ნატურით გადახდეთ და არა ფულად, ვინაიდან მათ ფული არ მოეპოვებათ და უგზოობის გამო არც არავინ მიდის იქ პროდუქტების საყიდლად.

ოზურგეთის მაზრა. ქცევაზე მოსალოდნელია: მთაგორიან ადგილებში —35—40 ფ. სიმინდი, ხოლო დაბლობ ადგილებში—50—55 ფუთი. მაზრაში საქონელი არის (გადატანით) 37,678 სული.

ზუგდიდის მაზრა. მთაგორიან ადგილებში მოსალოდნელია 40-მდე ფ. სიმინდი ქცევაზე, ხოლო დაბლობ ადგილებში—50-მდე ფუთი. წყალმა წაიღო 6,000 დესეტინა დამუშავებული მიწა. სახნავსა და მსხვილფეხა საქონელზე გადატანა დასრულდა.

ქუთაისის მაზრა. სახნავსა და მსხვილფეხა საქონელზე გადატანა დასრულდა. მოსახლეობა გადასახადს კარგის თვალით უყურებს. ბაღდადის თემში გამართულმა კრებამ, რომელმაც მოისმინა სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორის ამხ. ხარაძის მოხსენება მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც კრება ესალმება წრევანდელს მიზანშეწონილს გადასახადს და უსურვებს მას გამარჯვებას. ასეთი კრებები გაიმართა აგრეთვე ხონისა და სიმონეთის თემებში. მაზრაში წელს მოსალოდნელია: მაღლობ ადგილებში 40—45 ფუთი სიმინდი ქცევაზე, ხოლო დაბლობში—75—80 ფ. წვიმები ხშირია.

აჭარა. საგადასახადო მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სახნავსა და მსხვილფეხა საქონელზე გადატანა დასრულებულია. აღნუსხვის შედეგი შემდეგია: გადამხდელი 9,810 სული, სოფელი—268, თემი—18, სახნავი—10,101 დესეტინა, სათიბი—1,008 დ. ბაღი—796 დეს. 2353 საჟ., ვენახი—2 დეს. 1,650 ს., თამბაქო—91 დ. 1325 საჟ., სულ გადატანით 11,764 დეს. 152 საჟ., მსხვილფეხა საკლავი საქონელი—26,064 სული, ცხვარი და თხა—4,987 სული, სულ გადატანით 27 ათას 728 და სამი მერვედი სული. სექტემბრის 15-სათვის ფუთ სიმინდის საბაზრო ფასი იყო 1,800,000 მან.

ამიერ-კავკასიის საბაჟოების სამმართველოში

1920 წლის გაზაფხულს სათანადო მთავრობის განკარგულებით მოხდა მოულოდნელი რევიზია ტფილისის საბაჟოს ბუჰგალტერიისა და სალაროსი. რევიზიამ გამოარკვია, რომ საბაჟოს მაშინდელი ბუჰგალტერი ალექსანდრე მაღლაკელიძე სჩადიოდა სიყალბეს და ბოროტ-მოქმედობდა ბაჟისა და სხვა გადასახადების გამოანგარიშების დროს. ის გადამხდელებს ახდევინებდა ბევრად მეტს გადასახადს, ვინემ მათ ერგებოდათ, საბაჟო ტარიფის მიხედვით. მაგ. თუ ვაჭარს ერგებოდა გადასახდელად ტარიფით 100 მანეთი, მაღლაკელიძე უანგარიშებდა ხოლმე მას ათას მანეთს და საბუთებს გადასცემდა სალაროში მოლარეს ფულის გადასახდევინებლად; მოლარე, რომელიც მუშაობდა ბუჰგალტერ მაღლაკელიძესთან შეთანხმებით ახდევინებდა ვაჭარს გადასახადებს, ატარებდა სალარო წიგნებში და საბუთებს უბრუნებდა უკანვე მაღლაკელიძეს; ეს უკანასკნელი უწერდა გადამხდელს საბაჟო კვიტანციას მთელს გადახდილს თანხაზე და აძლევდა მას. დღიური ოპერაციების გათავებისას მაღლაკელიძე და მისი ამხანაგი ყველა საბუთებს და წიგნებს, სადაც კი გატარებული იყო ზემოხსენებული გადახდევინებული თანხა, ასწორებდა ტარიფის მიერ ნაგულისხმევ კანონიერ თანხაზე და ამ ოპერაციისაგან დარჩენილ განსხვავებას იღებდა ჯიბეში. ვინ იცის, რამდენს გააძვრეს ტყავი ხსენებულმა პირებმა ამ ოპერაციის გამომჟღავნებამდე. როგორც კი გამოირკვა ეს სიყალბე და ბოროტ-მოქმედება ბუჰგალტერ მაღლაკელიძისა და მოლარისა, ისინი მაშინვე გადააყენებული და პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, გამოძიება მათი ბოროტ-მოქმედების შესახებ სწარმოებდა საქართველოს გასაბჭოებამდე და ამ მომენტის შემდეგ მექანიკურად მოისპო და ამგვარად გადაურჩენ ხსენებული პირნი სასამართლოს მსჯავრს.

სად არის ეხლა ასეთი ბოროტ-მოქმედების ჩამდენი პირი? რასაკვირველია, სახელმწიფო დაწესებულებაში მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილიო, იფიქრებთ თქვენ. ზემოხსენებული გმირი სწორედ რომ სახელმწიფო დაწესებულებაშია და მოკალათებული თბილად იმავე საბაჟო უწყებაში, მაგრამ არა რომელიმე მაყრუებულ საბაჟოში, არამედ ცენტრში, თვით ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოში და იღებს ჯამაგირს არა როგორც უბრალო მომუშავე, არამედ როგორც პასუხისმგებელი, — ერთ დროს იყო სამმართველოს სამეურნეო ნაწილის გამგედაც. და თუ როგორი გამგე იყო, ამაზე გეტყვიან ორთაჭალის ბაღები და „გრიშუას“ ბაღი.

საინტერესოა თუ რითი ამართლებს საბაჟოს სამმართველოს უფროსი ამ პიროვნების თავის სამმართველოში მოკალათებას, მაშინ, როცა მან არ შეიძლება არ იცოდეს მაღლაკელიძის საქმენი საგმირონი, რადგანაც მას ახვევია ირგვლივ მრავალი თანამშრომლები, რომელთაც მაღლაკელიძის ეს საქმენი საგმირონი იციან და ნუ თუ ყველა [illegible] არიან და არაფერს ლაპარაკობენ?

საინტერესოა აგრეთვე, თუ რითი ახსნის სამმართველოს მახლობელი თანამშრომელი, მისი ყოფილი საქმეთა მმართველი და საბაჟო თანამშრომელთა გამწმენდ ცენტრალურ კომისიის თავმდომარე, ანტონ გასთლავა იმას, რომ მან, მიუხედავად ამისა, რომ იცოდა მაღლაკელიძის საქმენი, არ გაწმინდა ის, არ დაითხოვა სამსახურიდან.

მოქ. მაღლაკელიძის ადგილი საბაჟო სამმართველოში კი არ არის, არამედ გამასწორებელ სახლში (თუმცა იმედი არ არის ამ ვაჟბატონის გასწორების).

„ლიმაზ“.

ახალი მიწის ძვრა

საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფმა 22 ენკენისთვეს აღნიშნა 2 მიწისძვრა. პირველი: 17 საათზე და 4 წუთზე—უმნიშვნელო ეპიცენტრალური მიმართულებით 300 კილომეტრის მანძილზე (შემახის რაიონი).

მეორე: 23 საათზე და 51 წუთზე—ეპიცენტრალური მიმართულება—ძლიერი—1700 კილომეტრის მანძილზე (ალბად თურქესტანის მხარეში)

მესამე—უმნიშვნელო მიწისძვრა 6 საათზე და 30 წუთზე 23 ენკენისთვეს იმავე მიმართულებით და იმავე რაიონში.

მეორე მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ აუცილებლივ გამოიწვევდა ნგრევას.

ქრონიკა

— **საცხოვრებელ ბინების პროექტი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი საცხოვრებელ ბინების შესახებ, რომელიც ახლო ხანში გამოქვეყნდება.

— **გზათა შეკეთება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ა. კ. გზათა სამმართველოს მიიღოს ზომები, რათა შეკეთებული იქნეს ახალციხის-ახალქალაქის და ახალციხე-აბასთუმანის გზები.

— **პური ხევსურეთისათვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სასურსათო სახ. კომისარიატს ხევსურეთს დახმარების სახით გადასცეს 10,000 ფ. ხორბალი.

— **ახალციხის საავადმყოფოს შეკეთება.** სახ. კომისარიატმა ახალციხის საავადმყოფოს შესაკეთებლად წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა გადასცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს 1921 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში შესატანათ.

— **საქ. სამთო-სამმართველო.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაავალა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამხ. მოდებაძესთან ერთად გამოიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლათ პროექტი საქ. სამთო სამმართველოს მუშაობის შესახებ.

— **კონცერტი.** ხუთშაბათს, 27 ენკენისთვეს „ახალ წრეში“ გაიმართება კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით დიდი კონცერტი.

— **მეხილეთა ყრილობა გორში.** უახლოეს ხანში გორში შესდგება მეხილეთა ყრილობა. აღნიშნულ ყრილობის მიზანია მეხილეობის საქმის დაყენება საღ ნიადაგზე.

— **მანქანების შეკეთება.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეაკეთოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

— **აბრეშუმის ჭიის თესლი.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა შეძენილ იქნეს მომავალ სეზონისათვის 615 ათასი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი, პირველ რიგში ბაღდადის ჯიშის, და იტალია-საფრანგეთის.

— **საქართველოს პავილიონის ექსპონატები მოსკოვის გამოფენაზე.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მივლინებული სპეციალისტები მოსკოვის სასოფ. სამეურნეო გამოფენაზე უკვე დაბრუნდენ. სპეციალისტების გადმოცემით საქ. პავილიონს გამოფენაზე პირველი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ: მესაქონლეობის, მეაბრეშუმე-მეფუტკრეობის, მეღვინეობის და ძვირფას მცენარეთა ექსპონატები.

— **ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა შეიძინა 40 გუთანი და 6 პურის სარკველი („ტრიერი“) მანქანა.

— **ქუთაისის შრომის განყოფილების კოლეგია.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა ქუთაისის შრომის განყოფილების კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: შრომის განყოფილების გამგის ამხ. კომახიძის, შრომის ინსპექტორის—გულივერდაშვილის და დამზღვევ კასის თავმჯდომარის—აბულაძის შემადგენლობით.

— **შრომის ბირჟის მოქმედების გაუმჯობესება.** ამხ. ამხ. მიქაძის, რუხაძის და ჯულელის შემადგენლობით შემდგარ კომისიას დაევალა მიიღონ ზომები შრომის ბირჟათა მოქმედების გასაუმჯობესებლათ.

— **150 უმუშევარი საბურთალოს სამუშაოზე.** უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიამ წინადადებით მიმართა შრომის ბირჟას, რათა 150 უმუშევარი გააგზავნოს საბურთალოში ჭაობიან ადგილების გასაშრობათ დაწყებულ სამუშაოზე. თითო უმუშევარი დღეში მიიღებს 50 კაპ. ჩერვონცებით.

— **უფასო სამგზავრო ბილეთები უმუშევრებისათვის.** ბირჟამ დაადგინა უფასო სამგზავრო ბილეთები მიეცეს იმ უმუშევრებს, რომელნიც დაზღვეულნი არ არიან, მაგრამ შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე ირიცხებიან არა ნაკლებ 6 თვისა.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 22 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—628 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—93. სამუშაოზე გაიგზავნა—38.

— **„მოამბე“.** კვირას 23 სექტემბერს 1923 წ. გამოვიდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკების) სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს ორგანო „მოამბის“ მე-2 №-რი შემდეგი შინაარსით: 1. ახალ გზაზე, 2. ვისთან. 3. ბრძოლა თუ ძველი გზის უარყოფა, 4. ნუ რეკავთ ზარებს, 5. არც აქეთ, არც იქით, 6. ფარსი, 7. კიდევ ბოლშევიკებთან შეთანხმების შესახებ, 8. Pro domo sua, 9. რა უნდა აკეთონ ამხანაგებმა ადგილობრივ, 10. „25“, 11. მოძრაობა რუსეთის სოც.-დემოკრატ. შორის წერილი რედაქ. მიმართ, 12. ქრონიკა და 13. ახალგაზრდა მარქსისტების ხმა.

— **ტრამვაის ამბულატორიის გატეხვა.** 22 სექტემბერს გატეხეს ტრამვაის ამბულატორია, საიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიონის საქონელი.

— **ტუსაღების გაქცევა.** 21 სექტ. მე-11 სამილიციო უბნის სამმართველოს სატუსაღოდან გაიქცნენ რეციდივისტი ქურდები ვლ. ზარაძე და გ. ნონიევი.

— **თავის მოწამვლა.** ბზის მოედანზე მოქ. ზარაბრაგოვმა მოიწამლა თავი.

— **„სპარტაკის“ ბინის გაქურდვა.** 20 სექტ. გაქურდეს 1-ლ რაიონის „სპარტაკის“ ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა საქონელი და ტყავეულობა. ზარალი გამოურკვეველია. ეჭვით შეიპყრეს გიორგი მოისწრაფაშვილი.

ხელოვნება

აისედორა დუნკან

დღეს საქართველოს და ტფილისის სტუმარია აისედორა დუნკან. სარა ბერნარის სიკვდილის შემდეგ, არ არის ცოცხლებში ქალის სახელი, რომელიც ასეთი მსოფლიო რადიუსით სჭრიდეს ხელოვნებას; აისედორა დუნკანის ხსენებას ბევრი პოეტი შთაუგონებია. მე წინდაწინ ვგრძნობ წიგნს, რომელიც შემდეგში გამოვა „აისედორა დუნკან მსოფლიო პოეზიაში“... მე ვითვლი სახელებს, რომელიც წამიკითხავს: ანდრეი ბელი, მაქს ვალოშინი, თეოდორ სოლოგუბი, სერგეი სოლოვიოვი... მაგრამ, შემდეგში უფრო მეტი სახელები გამოჩნდებიან.

ამბობენ, რომ თექვსმეტი წლის წინ ყოფილა კიდევ აისედორა დუნკან ტფილისში, შეიძლება მე მაშინ ბავშვი ვიყავი, შეიძლება გაზეთები სწერდენ ამაზე, მაგრამ პოეზიას არ აქვს არც ერთი ლექსი მაშინ, როდესაც აისედორა დუნკან— ხვედრია მარტო პოეზიის.

აისედორა დუნკანმა, როგორც კლეოპატრამ, მოიარა მთელი მსოფლიო და იყო ყოველთვის ორმაგი მისი ჯადოქრობა... პოეზია კი ყოველთვის მას დაიმახსოვრებს, როგორც ცხოვრებას ქალისას, რომელიც სიცოცხლეში გადადის ლეგენდაში. ყველამ იცის, რომ რამდენიმე წლის წინად მთელი მსოფლიო შეანძრია აისედორა დუნკანის ბავშვების დაღუპვამ: გვახსოვს, როგორ სტიროდენ ამ მწუხარებას: მასსენს და სარა ბერნარ, მაგრამ ყველაზე უფრო ცრემლიანი მაინც რუსის პოეტი თეოდორ სოლოგუბი, რომელიც მოუწოდებდა მთელი ქვეყნის დედებს გამოეტირათ აისედორა დუნკანის მწუხარება; ზეპირად ეს სიტყვები ასე მახსოვს: „О плачьте горе Айседоры, о плачьте матери земли“. ომის შემდეგ აისედორა დუნკანმა იშვილა მსოფლიოს ბავშვები, რომ მათთვის მიეცა ის შთაგონება და ცხოვრების სილამაზე, რომელსაც იძლევა შემოქმედი, და რომელსაც პირველ წყაროს უბრუნებს ოსტატი.

ამბობენ, რომ მსოფლიო ომის წინ ცნობილი მილიონერი ზინგერი თავის ხარჯით ინახავდა აისედორა დუნკანის სკოლას. მაგრამ ამ ომმა არა მარტო ზინგერი, არამედ იმპერიებიც გამოიყვანა თავის რკალიდან და გასაგებია მისი დაშინება და მეცენატობის შეჩერება. ამბობენ, აგრეთვე, რომ ვენიზელოსი, ოდესღაც საბერძნეთის ახალი პერიკლესი, სცდილობდა, რომ თავის ერში გაეღვიძებია ძველი ელლადის ტრადიციები, და ამიტომ აპირობდა ათინაში შექმნა აისედორა დუნკანის ინსტიტუტი... მაგრამ ვენიზელოსა-

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშა-ქალების ჭირ-ვარამი

ჩვეულებრივ 8 საათის მუშაობის შემდეგ ჩვენი ქარხნის მუშა-ქალების უმრავლესობა უსაზომოდ ნამუშევარი, თუთუნის მტვერით საკმაოდ მოწამლულნი მშიერნი და დაღლილ-დაქანცულნი ბრუნდებიან შინ.

ფიზიკური მუშაობა დასვენებას თხოულობს, მაგრამ მათ ამ დასვენების საშვალება არც კი მოიპოვებათ.

ქარხნიდან დაბრუნების შემდეგ თვით სახლში იწყება მუშა-ქალების ფუსფუსი სადილის მოსამზადებლად. აჩაღებენ ცეცხლს სამზარეულოში, ან პრიმუსზე, (ბევრს პრიმუსიც არ აქვს) ხშირად მათ არ ყოფნით სურსათიც; იწყება ამისთვის სირბილი, წმენდა, რეცხვა. ერთი, ან ერთნახევარი საათის შემდეგ, მათ დაამზადეს ერთი უბრალო კერძი და აი ესეც შენი სადილი... ისადილეს.

იწყება ბინის წმენდა, ტანსაცმლის შეკეთება და ბავშვების მოვლა, რაც ყველაზე უფრო მეტ დროს ართმევს მუშა ქალს.

როგორ ფიქრობთ, რამდენი დრო დასჭირდათ? სულ ცოტად რომ ვსთქვათ, ოთხ ნახევარი საათი შეიძლება ამის შემდეგ ცოტა დაისვენონ.

იქნებ მეორე დღისთვის სამუშაო ენერგია განიახლონ?!

დილას, თუ უფრო ადრე არა, 4 ნახევარ საათზე უნდა ადგენ, დაალაგონ ოთახი, აჭამონ ბავშვებს, ცოტა თითონაც „წაილუკმონ" და აბა ისევ ფაბრიკაში.

ასეთ პირობებში ცხოვრების გამო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ მათ სულიერ და კულტურულ მდგომარეობაზე? ასეთს ისინი ძალიან ჩამორჩენილნი არიან.

შეიძლება თუ არა ისინი ასეთ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ?

შეიძლება და ძალიან ადვილათაც. ამისთვის საჭიროა მოვაწყოთ კომუნალურ საფუძველზე საზოგადო სასადილოები, სამკერვალოები, სამრეცხაოები და სხვა, ასეთი ორგანიზაციები მათ დიდ საშუალებას მისცემენ და თავისუფალს გახდიან კულტურული მუშაობისათვის.

მუშკორი მახსი.

შრომის ინსპექციები კარგად მუშაობენ

ტრანსპორტის მუშაკთა და მშენებლთა კავშირების ახალგაზრდა წევრთა საერთო საქალაქო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა შრომის ინსპექტორმა ამხ. ჯაგინოვმა, რომელმაც დაწვრილებით და გარკვევით დაახასიათა შრომის დაცვა წარსულში ძველი რეჟიმის და მენშევიკების დროს და ამჟამად, საბჭოთა ხელისუფლების დროს. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ერთიულ მშენებლთა მუშაობის განსაკუთრებულ პირობებს საერთოდ, და კერძოთ ამ დარგის მოზარდთა მუშაობის პირობებს და აღნიშნა ამ პირობებში მოსალოდნელი შრომის კანონების ხშირი დარღვევა.

მოხსენებელმა განმარტა აგრეთვე საანგარიშო წიგნაკების, სამუშაო და კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობანი. შეეხო სახელმწიფო ხელფასის მინიმუმს, სამსახურიდან დათხოვნისათვის, მოზარდთა პროცენტის შემოკლებას, შვებულებას, სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექტორებს. ყველა ამ საკითხში მან აღნიშნა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარენი.

მოხსენების დასასრულს ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, სადაც ყრილობა ესალმება საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც პირველად შექმნა მტკიცე მუშათა კანონმდებლობა, რომელიც სავსებით იცავს მშრომელთა ინტერესებს უზრუნველყოფს შრომის ნორმალურ პირობებს და იცავს მუშა-ხალხს სხვადასხვაგვარ ექსპლოატატორთა და ძარცვისგან.

მუშკორი კაინი.

1-რაიონის მუშკოპების პურის საცხობთა თანამშრომლების საყურადღებოდ

აღნიშნულ მუშკოპს დიდძალი წევრები და ტრამვაის მუშები ეტანება. ვაჭრობის მხრივ ის არ ჩამოუვარდება სხვა კოოპერატივებს. არც იმ აურზაურს აქვს აქ ადგილი, რომელიც მეტად ხშირია სხვა მუშკოპებში პურის გაცემის დროს. ყველაფერი ეს მუშკოპის თანამშრომლების ღვაწლს და ენერგიას უნდა მიეწეროს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აქ ჰქვს ადგილი ერთ დიდ ნაკლს რომელიც მდგომარეობს შემდეგში: პურის საცხობები გვირიგებენ ხშირად სრულიად არა გამოცხვარ პურს და, ამასთანავე, თვით პურში გვხვდება ხოლმე მოუზელავი კუშტით დარჩენილი ფქვილიც ამისთვის საყვედური ეკუთვნის მუშკოპის პურის საცხობის მუშებს და ზედამხედველებს. საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები, რომ მათ ეს ნაკლი გამოასწორონ და წევრებს გამოუცხონ კარგი ხარისხის და რიგიანად გამომშრალი პური.

მუშის შვილი ვლ. დევაძე.

სპილენძის სატკეპი ქარხანა

(ქარხნის აღდგენის მოკლე ისტორია).

საქართველოს გასაბჭოებამდე ეს ქარხანა ეკუთვნოდა კერძო პირებს (სქოლიენირო საზოგადოებას) და ის მაშინ სუსტად მუშაობდა, დაკვეთა იმდენი არ იყო, რომ ქარხანა სათანადოდ ამუშავებულიყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქარხანას გამოცოცხლება დაეტყო; ქარხანაში დატრიალდა მუშის მარჯვენა და კარგი ნაყოფიც გამოიღო. ქარხანას ეტყობა წინსვლა-წარმატება ყოველ მხრივ. შარშან ბორჩალოს მაზრიდან სოფ. ახკერპიდან მუშებმა კოლეგიის წევრის ამხ. მიხეილ გარინის მეთაურობით და „ტანკი"-ს საშუალებით გადმოიტანეს უზარმაზარი ქვაბი—მანქანა, რომლის საშუალებით დღეს ქარხანა მუშაობს ორმაგად. იმ დროს, როდესაც „სპეც-ინჟინერებმა" უარი განაცხადეს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რადგანაც, მათი აზრით, ასეთი ქვაბის (მანქანის) გადმოტანა და ქარხანაში დადგმა შეუძლებელი იყო, მელითონე მუშებმა შესძლეს დაბრკოლებების გადალახვა და სამი თვის განმავლობაში სიცივეში და ავდარში, ცხოვრების მძიმე პირობებში, და კიდევაც დაამტკიცეს რომ მუშის თქმა და აღსრულება ერთი უნდა იყოს. მელითონის დაკოჟრებულმა ხელებმა მართლაც შესძლეს მანქანის გადმოტანა და დადგმა ქარხანაში. „სპეც-ინჟინერები" კი გვერდზე გადგნენ.

ასეთი დიადი საქმისათვის შრომის ფრონტზე სრული გამარჯვებისათვის ამხ. გარინი და 16 მუშა დაჯილდოვებული იქნენ ფულით, ტანისამოსით მიეცათ რიგ-გარეშე შვებულება, თანახმად კავშირის დადგენილებისა მათ სახელად ეწოდათ შრომის გმირები და შეტანილ იქნენ წითელ დაფაზედ.

მუშკორი მელითონე.

მიუწვდომელი ბრძანებანი.

თვით რკინისგზის სამმართველოში, და ხაზზე საერთოდ ის ბრძანებები, რომლებიც გამოდის თვით გზის უფროსისაგან იშვიათად აღწევს მუშებისამდე და ზოგჯერ სრულიადაც შეუძლებელია, რომ მოსამსახურეების დაბალ დარგმა იცოდეს რამე მათ შესახებ. ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. მუშა-მოსამსახურემ უნდა იცოდეს, თუ რას მოითხოვს მისგან რკინისგზის უფროსი, რომ სამსახური პირნათლად შეასრულოს, ამისათვის საჭიროა, მიეცეს საშუალება ამათ თავისუფლად ბრძანებების გადათვალიერება-შესწავლაში. გზის უფროსის ბრძანები უნდა იქნეს გამოკრული ყველა სადგურებში და დეპო-სახელოსნოებში.

მუშკორი ბერიონი.

როგორ იცავენ პროფკავშირები მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს.

(წერილი თელავიდან.)

თელავის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და მის მუშა-მოსამსახურეებს შორის დადებული იყო კოლექტიური ხელშეკრულება 6. მან. 80 კაპ. მინიმუმის მიხედვით, მაგრამ სამწუხაროთ უნდა ავღნიშნოთ რომ კოლექტიური ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდზედ დარჩა და მუშა-მოსამსახურეებს, თითქმის სამი თვეზე მეტია, რაც არ მიუღიათ კუთვნილი ჯამაგირები. ამის გამო მუშა-მოსამსახურეები განიცდიდნენ აუტანელ მატერიალურ კრიზისს, თელავის საბჭოთა პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა სრულიად საქართველოს საბჭოთა მუშაკების პროფკავშირებს და ცენტრალურ გამგეობასთან, რათა უკანასკნელს მიეღო სასწრაფო ზომები მუშა-მოსამსახურეების თავის დროზე დაკმაყოფილების საკითხში.

ცენტრალურმა გამგეობამ ამ საკითხის მოსაგვარებლად სასწრაფოდ გამოგზავნა თელავში ამხ. კ. ღლონტი. ამხ. ღლონტმა თელავის სამაზრო პროფბიუროს პას. მდივანი ამხ. ქორიძე და საბჭ. მუშ. მდივანი ამხ. ხაჩიძესთან ერთად გამართეს მოლაპარაკება სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარესთან ამხ. შ. მათიკაშვილთან. ვინაიდან აღმასკომის დავალიანება თითქმის 20 მილიარდ მანეთს უდრიდა, არსებული კოლექტიური ხელშეკრულება უნდა გაუქმებულ იყო. ამრიგათ ხელშეკრულება გაუქმებულად ჩათვალა, მაგრამ დადგა საკითხი კომისიის წინაშე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო დავალიანების ლიკვიდაცია. ამხ. მათიკაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ჯამაგირები გასწორებულ იყო სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით და ძველი თვეების ინდექსით, კავშირის წარმომადგენლები კი მოითხოვდნენ, რომ ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეებს მისცემოდათ უკანასკნელი ინდექსის მიხედვით, სამი დღის მოლაპარაკების შემდეგ პროფკავშირის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს და მიიღეს ის, რასაც თხოულობდნენ სამართლიანად და რაც საჭირო იყო მუშა-მოსამსახურეებისათვის, ამრიგად დავალიანება გასწორებულია 1-ლ სექტემბრამდის, რამაც დიდი საშუალება მისცა მუშა-მოსამსახურეებს და ამოიყვანა იმ გაჭირებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც უკანასკნელნი იმყოფებოდნენ 3-4 თვის განმავლობაში.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობას!

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს პროფკავშირებთა საბჭოს!

მოგზაური.

მუშათა ქრონიკა.

— სტიპენდია მუშფაკულტეტებისათვის. მკერავთა კავშირმა მუშათა ფაკულტეტებში მყოფ თავის წევრებს დაუნიშნა სტიპენდია ათ-ათ მილიონის რაოდენობით.

დან დარჩა მარტო ხსენება. ჩვენ არ ვეთანხმებით ა. დუნკანის ინსტიტუტის დირექტორს, რომ თითქოს ვენიზელოსი უფრო მეცნიერი ყოფილიყოს, ვინემ პოლიტიკოსი. რასაკვირველია პოლიტიკასაც აქვს თავისი ირაციონალი.

აისედორა დუნკან, ჩამოდის რუსეთში და იქ აარსებს თავის ინსტიტუტს... დეკლარაციით საბჭოთა კონსტიტუცია აცხადებს ხელოვნების კულტს... მაგრამ დუნკანს მოუსწრებს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც უფრო მეტი სხვა დაწესებულებაც ემსხვერპლა... და დუნკანის ინსტიტუტში მხოლოდ 50 მოწაფეა.

აქედან იწყება დუნკანის გასტროლები ევროპაში, სახსრის ძებნა და მოწაფეთა შეგროვება:

ყველაფერი ეს პროზაა: აისედორა დუნკანი და სახსრის ძებნა სკოლისთვის მაშინ, როდესაც მას უნდა შეხაროდეს ყველა, ვისაც ერგება ბედნიერება მასთან სწავლის. ამ წერილის მიზანი სწორეთ ეს არი: ბაქოში აისედორა დუნკანის გასტროლების დროს მთა-მადნის მუშებს გადაუწყვეტიათ ათი ბავშვი გაგზავნონ თავიანთი ხარჯით ამ ინსტიტუტში სასწავლებლად... მართალია, ბაქო მდიდარია ნავთით, მაგრამ საქართველო მდიდარია თავის გულით: ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქართველი ბავშვებიც იქნებიან ბედნიერი აისედორა დუნკანთან ყოფნით.

თვითონ აისედორა დუნკან ოცნებობს, რომ საქართველო იყოს ბაზა მის დასვენების.

მას უნდა, რომ საქართველო, სადაც შეიძლება ცის ქვეშ სკოლის გახსნა, იყოს მისი სკოლის დასრულება; მაგრამ თუ საქართველოს ბუნებასა და მის ფინანსიურ შესაძლებლობის შორის არ არის პროპორცია, თუ არ შეიძლება, რომ საქართველომ გაუძლოს ამ ახალი რენესანსის ხარჯებს, ყოველ შემთხვევაში ქართველი ბავშვები არ უნდა დარჩენ გამორჩენილი.

ყველაფერი ეს არის მთავრობის წრეთა შეხედულებასა და შესაძლებლობაზე დამოკიდებული. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ შეგვიძლია სურვილის გამოთქმა. მაგრამ აისედორა დუნკან სდგას პედაგოგიის ზევით, ის არის უდიდესი მსოფლიო ხელოვანი. მართალი მის გასტროლს გუშინ ღამ ოპერის თეატრში ვერ დაესწრენ ვერც პოეტები და ვერც მუშები, რომელთაც შეუძლიათ აღტაცების გამოთქმა, მართალია იმ ღამეს თეატრში სპეკულიანტები და ობივატელები მსჯელობდნენ ორაზროვნად, მაგრამ ამას ჰქვია ბედის ირონია.

ყველაზე უფრო, რაც პირველად ეცემა თვალში მნახველს,—ეს არის აისედორა დუნკანის—ამაყი ლომის თავი. მოხუცებაში ის თანდათან მიდის აზრის სიღრმეში და უბრუნდება თავის პირველ საბუდარს: მზეს არავინ არ კითხავს წლებს.

აისედორა დუნკანი ტფილისის ქუჩებზე იძლევა ისეთ მოგონებას, როგორც ეგზოტიური დედოფალი ტაიტისა...

არიან წამები უცაბედი შეხვედრის, რომელთა გადმოცემაც ძნელია.

ასეთი იყო აისედორა დუნკანის შეხვედრა ქართველ პოეტებთან...

მაგრამ ეს არის საგანი ლექსების:

აისედორა დუნკან—უკეთესი სახელი არ არის სონეტისათვის...

ტიციან ტაბიძე.

23 სექტემბერი.

ალექსი-მესხიშვილის გასტროლები.

საგასტროლო წარმოდგენები უეჭველია ინტერესს იწვევს მაშინ, როდესაც გასტროლიორ მართლაც დიდს არტისტიულ ძალას წარმოადგენს ამა თუ იმ როლში. ასეთს პირობებში უნებლიედ სცდილობ თვალი აარიდო (რამდენათაც კი შესაძლებელია) საგასტროლო შემადგენლობას, სახელდობრ სცდილობ უყურადღებოდ დასტოვო ის გარემოება, რომ გასტროლიორი, პიესას საკუთრივ თავისათვის ირჩევს, სადაც მას ასე ვთქვათ, მომგებიანი როლი აქვს და ყურადღებას არ აქცევს პიესის ღირსებასა და ანსამბლის უქონლობას; ვიმეორებ, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გასტროლიორი დიდს ძალას წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ამისი თქმა ალექსი მესხიშვილის გასტროლებზე? ვფიქრობთ, რომ—არა. ჯერ ერთი, დღევანდელ დღეს (თუნდაც მხედველობაში არ ვიქონიოთ თანამედროვე ახალი ცხოვრების აღმშენებლობა) ასეთი უნიჭო ფრანგული მელოდრამის დადგმა („ჟოზე პარიზელი ბიჭი"), სხვა რომ არა ვთქვათ რა, მეტად უადგილოა. გასტროლიორს სურს თავისი ნიჭის გამოჩენა პარიზელ ბიჭის (gamindeuari) როლში... დამერწმუნეთ, ეს როლი საშუალო მსახიობსაც არ ეკადრება, არამც თუ გასტროლიორს. ეს პიესა დააინტერესებს ძალიან დაბალ სათეატრო გემოვნების მაყურებელს.

გასტროლიორმა ცოცხლად ითამაშა ჟოზეს როლი; მელოდრამატიულ ადგილებში ცრემლიც კი ბევრს გადმოსცვივდა, მაგრამ ამ დრომოჭმულ პიესის დადგმა მაინც არ ღირდა.

დანარჩენ ამსრულებლებზე ნურას ვიტყვით, რადგანაც ყველა როლები ნაძალადევია, არა ბუნებრივი და არტისტი ვერაფერს გააწყობს.

მეორე პიესა ბუფონადაა სარწმუნოებრივი განცდისა (კლერიკალური,) თუმცა ეს პიესა ტლანქი ფერადებითაა ნახატი და უმნიშვნელო ინტერეს წარმოადგენს. მოქმედება სწარმოებს საშუალო საუკუნოებში. მარტო ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ეს პიესა დღევანდელი დღისათვის შეუფერებელია და არც რაიმე სიმახვილეს შეიცავს.

ალექსი—მესხიშვილი როლში დონნას თამაშით და ინტონაციით იმეორებს იმავ პარიზელ ბიჭს—ჟოზეფს, მხოლოდ საშუალო საუკუნოს ესპანელ ქალის ტუალეტით. ჯერჯერობით გვიძნელდება რისიმე თქმა გასტროლიორის ნიჭის შესახებ.

იმ პიესების დადგმას დაუცადოთ, სადაც უფრო მკაფიოდ გამოაშკარავდება ინდივიდუალობა არტისტიული ნიჭისა.

ძველი.

„მწერლობა?"*)

ამ სათაურით გაზ. „ტრიბუნა"-ში ორ სერიათ (№№ 576 და 577) დაიბეჭდა „კეთილშობილ კალმოსანის" დავით კასრაძის წერილები—ჩემი უკანასკნელი წერილის საპასუხოთ. ეტყობა ჩემს გასროლილ ყუმბარას, პირდაპირ მიზანში მოხვედრილს, ძლიერ ეუფორიაქებია „მწვერვალზე" დაბანაკებული დ. კასრაძე, რომელიც იძულებული გამხდარა თავის დასაცავად ბარიკადები გაემაგრებია საოცარი ხაზაკით, და „მტრის" ბანაკში პანიკის შესაქმნელად შეთხზა უსირცხვილო ჭორი.

მოქ. კასრაძე, იმის მაგივრათ, რომ პირდაპირ მიპასუხოს, რუქას არაკებს ალოდღვილებს და მისაყვედურებს, რატომ მაინც და მაინც მისი და ჩიქვანაიას ცოდვა გამოვიტანე შარაზე იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა სავსეა მათზე უფრო დიდი დამნაშავეებით (სხვანაირათ არ შეიძლება გაიგოს კაცმა მისი წერილების სიღრმე). მან უნდა იცოდეს, რომ ჩემი სპეციალობა არ არის და არც მაქვს სურვილი ვეძიო თუ ვინ რას სჩადის. ყოველ შემთხვევაში „სურამის ციხის" აღება მეორე საკითხია. მოქ. დავითი ასე ყურადღების სხვაგან წაღებით, ცდილობს ტალახიდან სუფთად ამოსვლას და გლახა ჭრიაშვილივით იმეორებს, რომ გამომცემლობა როდის ყოფილა სარფიანიო. საკვირველია ამაში ვინ ედავება, ამ გალმა შედავების პოლიტიკოს! პირიქით, მე ვემოწმები მას და მისივე საყურადღებოთ ვამბობ, რომ კეთილსინდისიერი მეცენატობა საერთოდ საზარალოა, ხოლო საქართველოში გამომცემლობა ყოველთვის იყო თავის გამცემების და განსაკუთრებული სიყვარულის საკითხი.

„მწვერვალის" გამომცემლები რომ ამ სიყვარულით ყოფილიყვნენ აღსავსე, მაშინ ხმის ამოღება მათ წინააღმდეგ მართლა დანაშაული იქნებოდა, მაგრამ როცა ამ უებრო მწიგნობრებმა „მწვერვალის" სახელით მხოლოდ სახრავები გაიჩინეს და მწერლობას ამოფარებულებმა გამომცემლობა საშუალებათ გაიხადეს თავის სარჩენათ, ნურას უკაცრავათ მოქ. დავით თუ ნამუსი არ შეგვინახეთ და თქვენი „კულისების" ამბავი ღიასი გავხადეთ პრესის ყურადღების რითაც საშვალება მოგესპოთ ტფილისშიაც გაგეგრძელებიათ ბათომში დაწყებული ავანტიურა: მაგალითად სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს ხუთი სხდომა დაკარგვინეთ უშედეგოთ, და როცა გამოირკვა თქვენი სასპეკულიაციო განზრახვანი აღნიშნულმა კავშირმა ხელმოსაწერათ გამზადებული ხელშეკრულება თქვენთან გამომცემლობის შესახებ დადებული, თავზე გადაგახიათ. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

მოქ. კასრაძე ნაცარქექიასავით იკვეხის: „კახიომ და მისმა ამხანაგებმა კარგათ უწყიან, რომ დ. კასრაძის და მისი თანამოღვაწეების (ხაზი ჩემია) ტფილისში ჩამოსვლა აღსასრულის დღე იქნება მათთვისო" აქ ბოდიშს ვიხდი მკითხველი საზოგადოების წინაშე, მაგრამ უსათუოთ უნდა ვიხმარო საპასუხოთ შემდეგი სიტყვები: „ბედაურები ჯერ არ დახოცილან"... ესეც არ იყოს, მე არ ვიცი მოქ. კასრაძე, რომელი და რა არტილერიით ფიქრობს დაამხოს „ცისფერი დანია", რომლის პროტექტორატის ქვეშ ყოფნას ის ცდილობდა ორი სამი წლის წინ გაზ. „საქართველოში" საენიანი ფელეტონებით?

თავის თავის მოჭარბებული სიყვარული როდი კმარა მარტო, ილაპარაკო ასე რიხიანათ მოქ. დავით.

მოქ. კასრაძე წერილის ბოლოში შემოდგომის ბუზივით იკბინება და იგონებს ყოვლად უსირცხვილო ჭორს თითქოს მე მასთან მქონოდეს რაიმე „მოლაპარაკება". კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე დ. კასრაძესთან პირადათ არავითარი მოლაპარაკება არ მქონია რაიმე „შერიგების" შესახებ. მის მიერ მოყვანილი „ბავშვის ტიტინი" არის სრული სიყალბე და უკანასკნელი იარაღი—თავის დასაცავათ ნახმარი.

რაც შეეხება „მოციქულს", ამაზე ვიტყვი სასამართლოში.

კახია.

---

*) ვინაიდან საქმე სასამართლოში გაირჩევა, ვსპობთ ამ საგანზე კამათს.

რედ.

პასუხად გაზეთ „მწვერვალი"-ს ყოფილ გამომცემელს თ. ჩიქვანაიას

ჩემი ღია წერილს, რომლითაც გიწვევდით სამედიატ. სამართალში თქვენ გვერდი აუხვიეთ და მიწვევთ ოფიციალურ სასამართლოში. თქვენ ბ-ნო ჩიქვანაიავ, სჩანს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გქონიათ მოქალაქობრივი თავ-მოყვარეობა, რომ გაურბიხართ სამედიატორო სამართალს. დიდის სიამოვნებით გამოგყვებით სამოქალაქო სასამართლოში, მაგრამ ვაჰ, რომ აქაც დამემალებით.

ამბობთ: „ქ. მარტვილელი და მისი შვილი შალვა ოდიშარია ექსპედიტორებათ იყვნენ ჩვენთანო," ეს უსირცხვილო და თქვენ მიერ ჩვეულებრივი შეთხზული ტყუილია და ვთხოვ გაზეთ „მწვერვალი"ს რედაქტორს დ. კასრაძეს, იმავე გაზეთის თანამშრომლებს: კოწია კაპანელს, სერგო გერსამიას, სვიმონ ქვარიანს, ილარიონ ჟღენტს და ყველას, ამ გაზეთის ამბის მცოდნე ქართველ საზოგადოებას ქ. ბათუმში დამიდასტურონ სიმართლე: მართალია ექსპედიტორ მდივნად გვყვდათ ჩემი შვილი, რომელიც გიმნაზიის გათავების შემდეგ ემზადებოდა ტფ. სამთო-მადნო ფაკულტეტისათვის, მაგრამ ბათომში ჩემი არყოფნის დროს თქვენ თვითონ დაიბარეთ იგი სოფლიდან, მოატყუილეთ, წინასწარის მოსაზრებით არ ჩასწერეთ შრომის ბირჟაში და დაზღვევ კასაში, რომ ლელო თავისუფლად გეგიტანათ, ამსახურეთ ოთხ თვეზე მეტი, თქვენ მილიარდები ჩაიწყვეთ ჯიბეში და მას თავის ხვედრი ასი მანეთი ოქროთი წაართვით მიანებეთ სამუდამოთ ბათომს თავი და გაიპარეთ ბორჯომში!? ეს დ. კასრაძემ კარგათ იცის რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: „ან რად გამოიქცა ქ. ოდიშარია (ქ. მარტვილელი) ბათომიდან ზარით ესეც შეგვატყობინოსო", ამით თქვენ იმისი თქმა გინდოდათ, რაც სთქვით ბევრ სხვა პატიოსან პირებზე, რომლებთა სახე მგონი სინდისს გიქენჯნისთ. მე რომ გამოქცეული ვყოფილიყავი, სამართალში თქვენ ბათომში არ მიგიწვევდით, და თუ თქვენ სამედიატორო სამართალში არ მომყვებით, პირველი ამისათვის, რომ თქვენ მიერ ჩადენილ საქმეების გეშინიანთ და მეორე ქ. ბათომის იმ საზოგადოებას და დაწესებულებებს გაურბიხართ, რომლებსაც სხვა და სხვა მახინაციებით ხუთი წყება ტყავი ააძვრეთ არა გაზეთ „მწვერვალის", არამედ თქვენი უძირო ჯიბის სასარგებლოდ.

ვსწყვეტ ამიერიდან თქვენთან ბაასს.

დეე, გაგვასამართლონ სამედიატორო სამართალმა ბათომში, რომელშიაც გიწვევთ მე და ოფიციალურმა სასამართლომ, რომელშიაც მიწვევთ თქვენ. განაჩენები დაიბეჭდება გაზეთების ფურცლებზე.

ქ. მარტვილელი.

20 ენკენ. 1923 წ.

პროვინციაში

ხიდისთავის თემი (გურია)

ეს თემი შესდგება რვა სოფლიდგან. აქ არის სამკითხველო, კოოპერატივი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რვა წლიანი შრომის სკოლა და სხვ. ხალხიც კულტურული და ფხიზელია საერთო წინსვლის საქმეში. თვითმპყრობელობის დროს ამ თემს სოციალისტების ბუდეს ეძახდენ და მრავალი ტანჯვა წამება ხვდა წილად. ამ ხანად ამ თემში საბჭოთა აღმშენებლობაა გაჩაღებული. დიდ მუშაობას ეწევა ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ერასტო ჩიგოგიძე; ის სწორი ხაზის მატარებელი პიროვნებაა და ხალხსაც ამიტომ შეუყვარდა ის. (გარდა რამოდენიმე პირისა, რომლებიც თავის ბნელ საქმეებს ვერ აკეთებენ მასთან). ჩიგოგიძემ შესცვალა მთელი ამ თემის ახლო წარსულის სახე და ახალი აღმშენებლობითი გეგმა შეიმუშავა. გობოზოულის ბოგირი, რომელიც მეტად საინტერესოდ კეთდებოდა ხალხის შრომით და საბჭოთა მთავრობის დახმარებით, სტიქიურმა უბედურებამ ისე გაანადგურა, რომ ხალხს ამის გაკეთების იმედი სულ დაეკარგა. მიუხედავათ ამისა, ჩიგოგიძის დაუღალავი შრომით და ენერგიით ეს ბოგირი მალე იქნება აღდგენილი.

ჩიგოგიძე დიდ მუშაობას ეწევა სასოფლო გზების გაყვანაში, აგრეთვე სათანადო დახმარებას უწევს ყოველივე კულტურულ საქმეს.

ოზურგეთის პოლიტ. განათლების გამგეობას, რომელსაც ეკუთვნის ამ თემის სამკითხველო და რომელიც უნდა უწევდეს ანგარიშს იმ კულტურულ ხალხს, რომელიც ამ თემში შედის და ყოველდღიურ გაზეთებს არ აკლებდეს, ვერ იჩენს საკმაო მზრუნველობას. აქვე არსებობს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. მისი მოსამსახურეები თავიანთი გამგით არიან ყველა კავშირის წევრები და სამსახურს გულწრფელად ასრულებენ. მოსამსახურეები ჩივიან წამლის მიღების სიძნელეზე, რომლისთვის მათ უხდებათ რვა ვერსის სიშორეზე წასვლა, ჩოხატაურის რაიონში.

კოოპერატივს აქ მრავალი წევრები ყავს და რაიონის კავშირის გამგეობა ასეთ კოოპერატივს მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს საქონლის მიწოდების მხრივ. შიგ მოსამსახურეები ჯაბუა და კალანდაძის ქალი მეტად თავაზიანი ხალხია და ხალხიც მათ აფასებს.

მუშა ხსო ხიდისთაველი.

ტობანიერის თემი (ქუთაისის მაზრა)

ხსენებული თემი ახლო-მახლო სოფლებთან შედარებით ყველაფრით მაღალ საფეხურზე სდგას. აქ არსებობს სხვადასხვა დაწესებულებები, როგორიც არის, მაგ., შრომის სკოლა, სახალხო სახლი, აფთიაქი, კოოპერატივი (რომელიც დიდ დახმარებას უწევს სოფლის გლეხობას არსებული ხელისუფლების შემწეობით) და აგრეთვე სამკითხველო. ყველა დასახელებული დაწესებულებები საშუალო საფეხურზე სდგას, მხოლოდ სამკითხველო კი იმყოფება უნუგეშო მდგომარეობაში. ზამთრობით ეს სამკითხველო ყოველთვის დაკეტილი იყო, მხოლოდ ზაფხულზე მოწაფეების ჩამოსვლის დროს იღებოდა და განაგრძობდა თვის მკვდარ-ცოცხალ მუშაობას, ამ ზაფხულს კვლავინდებურათ გააღეს ეს სამკითხველო და რას ვხედავთ შიგ?—ცარიელ შკაფს, რომელიც ამ წასულ წლების განმავლობაში სავსე იყო წიგნებით. წიგნები დაურიგებიათ, უკან კი არავის დაუბრუნებია; მაგიდაზე კი მხოლოდ გაზ. „ტრიბუნას", იმასაც ხან ორი კვირისას და ხან ერთი თვისასაც და ისიც ჰუქყიანს (მისი გარჩევა და წაკითხვა ძალიან ძნელია). მიუხედავათ ამისა, ცენტრს დაშორებული ახალგაზრდობა მაინც ეწაფებოდა ამის კითხვას, რადგანაც ის ძველი ამბავი იმათთვის ახალი რამ არის. შემდეგ აღარც ეს გვაკმარეს და სამკითხველო სრულიად მიკეტეს. ადგილობრივი აღმასკომი ყურადღებას არ აქცევს ასეთ დაცემულ სამკითხველოს. სასურველი იქნება, რომ აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება და გამოიწეროს გაზეთები, როგორიც არის, მაგ. „კომუნისტი", „მიწის მუშა", რომლითაც გლეხს თავისუფლად შეუძლია ისარგებლოს მეურნეობის აღორძინებისათვის, და კიდევ სხვა გაზეთები. აგრეთვე ძალიან საჭიროა, რომ შეიძინოს წიგნები „რელიგიის შესახებ". რომელიც სავსებით დაანახვებს გლეხს სარწმუნოების სიცრუეს, აი ასეთი დახმარებით შეიძლება დღეს ტობანიერის დაცემულ სამკითხველოს ფეხზე წამოყენება.

პატროკლოსი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გაზეთ „კომუნისტის" № 216-ში ს. ც. ს. ს. თავმჯდომარის მოადგილის ვას. არეშიძის საპასუხო წერილი არის მოთავსებული მოქ. პეშტმალდჟიანცის მიმართ. ამ წერილში მოქ. არეშიძე განმეორებით უწოდებს ჯაშუშს მოხსენებულ პეშტმალდჟიანცს, თავის დამამცირებლათ სთვლის გაყვეს მას სამედიატორო სასამართლოში და, სხვათა, შორის სწერს, რომ „თუ თქვენ და ალექსანდრე ჭუმბურიძესაც გსურთ დარწმუნდეთ ჩემს სიტყვებში, მიმართეთ პარტიულ ამხანაგებს (ჩამოთვლილია) და ისინი დაგარწმუნებენ, რა პიროვნებაც ბრძანდებით, მოგაგონებენ თუ რა საჯაშუშო და საპროვოკაციო საქმეებს სჩადიოდით"-ო.

გაზეთის მკითხველთ, რომელნიც ამ საქმის შინაარსს არ იცნობენ, შეუძლიათ ის აზრი გამოიტანონ ამ წინადადებიდან, თითქო დავით პეშტმალდჟიანცის წარსულში მეც დაინტერესებული ვიყო და მისი „საჯაშუშო და საპროვოკაციო" საქმეები მეც მეხებოდეს.

არც პეშტმალდჟიანცთან და არც ვას. არეშიძესთან საერთო არაფერი არ მქონია წარსულში და არც ახლა მაქვს, გარდა ჩემი სამსახურით გამოწვეულ ოფიციალურ დამოკიდებულებისა. არავითარი შეკითხვა პეშტმალდჟიანცის წარსულის შესახებ ვ. არეშიძისათვის მე არ მიმიცია და რატომ მაგზავნის ის მოხსენებულ პარტიულ ამხანაგების დასაკითხავათ, რა მიზეზით მაკავშირებს მე ის პეშტმალდჟიანცის აწმყოსა და წარსულთან, ჩემთვის გაუგებარია.

დარწმუნებული ვარ, რომ აქ მხოლოდ წერილის ავტორის ჩვეულებრივ ღრმა მოუფიქრებლობას აქვს ადგილი და ამიტომ მოვითხოვ მისგან დაუყოვნებლივ გაასწოროს თავისი შეცდომა თქვენივე გაზეთის საშვალებით.

პატივისცემით ს. მ. უ. ს. მთავარი კონტროლიორ-ინსტრუქტორი ალექსანდრე ჭუმბურიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე [illegible] მუშათა ფაკულტეტზე (რუსულ განყ.) დამატებითი სიით ჩარიცხულ ამხანაგებისა.

წინად მიღებულ ამხანაგებსაც ეძლევათ წინადადება გამოცხადდნენ, ვინც კი სექტემბრის 17-სათვის ვერ მოვიდა გამოცდებზე.

სექტემბრის 26 უკანასკნელ დღედ ჩაითვლება გამოცდებისთვის.

გამოუცხადებელნი აღარ მიიღებიან.

სამანდატო კომისიის წევრი მ. ესსენი.

ამხანაგთა მობილიზაცია.

პარასკევს, სექტემბრის 28-ს დანიშნულია მეორე უბნის ორგანიზაციის წევრთა პოლიტ-ცოდნის შემოწმება. ამ მიზნით მობილიზაციის წესით გაწვეული შემდეგი ამხანაგები: ადამსკაია, ავენირი, ალაგარდიან, ალაჯანოვა, ბალტინი, ვარძიელი, ვაშაძე, ვართაპეტიანი, გინდინი. გრიცენკო, გენკინი, გომინერი, გალკინი, გოლუბევა, დიმანტი, დანდუროვი, დივნოგორცევი, დუმენსკი, დუდუჩავა, ერქომაიშვილი, ელისაბედაშვილი. ჟოჟიკაშვილი, ივანოვ-კავკაზსკი, იგნატოვი, ივანიანი, კახიანი, კურულოვი, კოსტანიანი მ., ჯოგანი, კიკნაძე (რედ.), კარტოზია, კორძახია, ქართველიშვილი, კიკალეიშვილი, კასატკინი, კრუგლიკოვი, ლომინაძე, ლიადოვსკაია, ლიბაუ, მედვედევი, მამულაშვილი, მარქარიანი (როსტა), მოგილევსკი, ნოვიკოვი, ნაზაროვი, ნემჩინოვი, ნადირაძე, ორახელაშვილი მარ. ოკუჯავა კ. ოკუჯავა მ. პოლისი, პადერინი, პათერინა, პენიაკოვა, პენიაკოვი ს. რახმანი, რუხაძე გენ. სუტირინი, სოკოლოვსკი, საყვარელიძე („მუშა"), სააკიანი, ხტელმანი, თალაკვაძე ს. თალაკვაძე ი. ტაკოევი, ფროლოვი, ფრანგულიანი, ხაჭაპურიძე, ხანოიანი, ჩხეიძე (რედ.) შავერდოვა, ესსენი მ. ესსენი ა. ერისთავი, ცინცაძე ივანე.

ყველა ზემოხსენებული ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ნაშუადღევის 4 საათზე საუბნო კომიტეტის ბინაზე (კიროჩნისა და მიხეილის ქ. კუთხე).

ტფილ. კომიტეტის მდივნის მაგიერი გოლდბაუმი.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კ. პ. ტფ. კ-ის მე-3 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს შემოვიდნენ სარაიონო კომიტეტში 25 ან 27 სექტემბერს დღის 4 საათზე სრულიათ საქართველოს აღწერის ბლანკების შესავსებათ.

მოსვლა სავალდებულოა.

1. ავაქიანი ავაკ, 2. ალაგაჯიანი მუშეგ, 3. ამირაგოვი ნიკოლოზ, 4. ალაჯალოვი ნინო, 5. არუტიუნოვი სტეფანე, 6. ავაქიან არშავირ, 7. ბადუევი იაკობ, 8. ბეჟანოვა ტატევოს, 9. ვართაპეტოვისა აშხენ, 10. ჯაბაშვილი სერგო, 11. ლომიძე ტერაპონის, 12 ლიჩაგინი ილია, 13. მკრტიჩევი მკრტიჩ, 14. მისკინი ანუშევან, 15. ნაჯაფოვი რიზაკული, 16. ოგანესოვი გევორქ, 17, ფიფია პარასკევა, 18. სტარჩუკოვისა სოფიო, 19. სააქიან აშოტ, 20. სკანდაროვი მკრტიჩ, 21. სულხატიანი არუთიუნ, 22. სერიოჟკინი გიორგი, 23. სურახანოვ არმენაკ, 24. საპცოვი ივანე, 25. თუმანოვისა ტატიანა, 26. ტოპჩიბაშევი ასკერ, 27. ხაჭაპურიძე გიორგი, 28. ხაჩატუროვი ნერსეს, 29. ხურშუდოვი არშაკ, 30. შახტახტინსკი ბებუთ' 31. იაკუბოვ სეით, 32. ჩერნიშოვისა ალექსანდრა, 33. შმულევიჩ ნადეჟდა.

მდივანი ვართაპეტიანი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

დღეს გასტროლი მოსკოვის სახელმწიფო თეატრების არტისტი ქალის

ბარბარე ვლადიმერის ასულის ალექსიევ-მესხიშვილისა

1. ჟოზეფ—პარიზელი ბიჭი—მელოდრამა—ვოდევილი საფრანგეთის რევოლიუციის დროიდან 2 მოქ. ბოიაქ და ბანდერბურგი.
2. სამოთხე და ჯოჯოხეთი—ტრაგიკომედია პროსპერ მერიმესი 2 მოქმედ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს.

სამშაბათს, სექტემბრის 25-ს ორი კომედია: 1 „ნედომეროკ", 2 „ლოცლოცა"

ბილეთები იყიდება. აკადემიური თეატრების გამგეობ. 630.

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს საბჭ. სოც. რესპ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი მოუწოდებს მსურველებთ მიიღონ მონაწილეობა წერილობით საჯარო ვაჭრობაში ა. წ. 29 სექტემბერს, დღის 12 საათზე ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ტფილისის საავადმყოფოსათვის 300—350 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად.

განცხადება უნდა წარმოდგენილ იქნას დახურულ კონვერტებში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო განყოფილების კანცელარიაში (ევანგულოვის ქ. 12), სადაც შეიძლება ცნობების მიღება იჯარის პირობების შესახებ ყოველ დღე დღის 10—12 საათამდე. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 10 ჩერვონეცი.

აღნიშნულ იჯარის გაცემის დროს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც რომლებიც უპასუხებენ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ინტერესებს.

3—2 617.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საყურადღებოდ

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 24-დან 30 სექტემბრამდე სექციის ბიუროს ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 37) საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილ. სექციის

წევრების პერერეგისტრაცია.

ისინი, ვინც პერერეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, სექციიდან და კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლება.

ყველა ცნობებისათვის მიმართეთ სექციის რწმუნებულებს.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: შავერდოვა.
საორგ. განყ. გამგე: მეძმარიაშვილი.
ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექც. პასუხისმგ. მდივანი: გიულიუმიანი.

უ. ქ. ს. კეთილ მოწყობის ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 25 სექტ. დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ საამშენებლო სამუშაოებზე: 1. შეკეთება ხის ტროტუარისა პატარა ყოფ. ვორონცოვის ხიდისა. 2. შეკეთება და სახურავების შეღებვა სავაჭრო დარაბებისა მადათოვის კუნძულზე. პირობების და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება, აღმასკომის შენობაში—ოთახი № 43.

ამასთანავე განყოფილება აცხადებს, რომ შემდეგში ამგვარი შეჯიბრებები გაზეთებში არ იქნება გამოქვეყნებული. განცხადებები გაიკვრება აღმასკომის შენობაში მთავარ შემოსასვლელ კარებთან მარჯვნივ და კეთილ მომწყობ განყოფ. დერეფანში, (მე-3 სართულში—ველიამინოვის ქუჩის მხრივ).

629—2—2

კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ 30 სექტემბერს ა. წ. სოფელ მუკუზანში საკუთარ ბინაზე დილის 10 საათზე

დანიშნულია რწმუნებულთა კრება

განსახილველი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ,
2. 1922 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, 1923 წლის ანგარიშების განხილვა.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

არჩევნები საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა. 1222 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ილია დიმიტრის ძე ლეკვინაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1234

დაიკარგა პასპორტი № 368 კონსტანტინოპოლში არსებულ სპარსეთის საელჩოსაგან მიღებული ილია სამუელ ქერქეშ ოღლის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1236.

დაიკარგა 1 აგვისტოს 23 წ. მგზავრობის დროს სად. ქუთაისიდან, მიღებული სამტრედიის კავშირიდან, კავშირის წიგნაკი, პასპორტი და კლუბის ბილეთი, სიმონ კომოთის ძე გიგინეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა სახლის წიგნი № 8781 მნაცაკანოვის სახელობაზე. კომუნის ქ. სახლი № 101. 1—1 1233

დაიკარგა ტელეფონის ქსელის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 674 ზაქარია ონიაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1232.

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ზუგდიდის სამაზრო მმართველობიდან ისიდორე კოსტას ძე პაპასკირის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1231.

სტამბა „ზარია ვოსტოკა". კრუზენშტერნის ქ. № 4.